ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 16 (1454) 21-28 მაისი, 1996 წელი

ბედი კაცისა

თენგიზ სიგუა

მე-2-3-4 გვ.



«1989 წელს გალის ქუჩაზე, კოლხური კოშკის შესასვლელ ჭიშკართან, მოეწყო აფეთქება, რომელსაც პროვოკაციული მიზანი ჰქონდა – დაშინება. მეორე დღეს ინსტიტუტში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი ზვიადმა მომიტანა აფეთქების შედეგად დარჩენილი ნამსხვრევები და მთხოვა»...

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

17 მწარე შეკითხვა და თენგიზ სიგუას პასუხები

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა 17 მწარე შეკითხვა ბატონ **თენგიზ სიგუასადმი**. იქვე მკითხველს შევპირდით, რომ ორშაბათის ნომერში რესპონდენტის პასუხები გამოქვეყნდებოდა. მადლობის გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ დროის სიმცირის მიუხედავად, ბატონი თენგიზი ოპერატიულად გამოგვეხმაურა.

ასე რომ, ვიწყებთ ყოფილი პრემიერის ვრცელ ინტერვიუს საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე.



1. პოლიტიკურ ასპარეზზე თქვენი პიროვნება საკმაოდ გვიან გამოჩნდა, თუმცა ერთობ დიდი რეზონანსით. რამ განაპირობა ეს და ვის მიუძღვის წვლილი დიდ პოლიტიკურ ასპარეზზე თქვენს წარმოჩენაში?

— პოლიტიკურ ასპარეზზე ჩემი გამოსვლა 1988 წელს მოხდა. მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. ქ.თბილისის ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ბ-ნი აკაკი ბაქრაძე იყო წამოყენებული. მას სერიოზული კონკურენტები ჰყავდა — ამავე საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდნენ იმყამად გავლენის მქონე მაღალი თანამდებობის პირები, პარტიული ფუნქციონერები და მსხვილი საწარმოების დირექტორები.

მთელი რიგი აკადემიური ინსტიტუტების წარმომადგენლებისაგან (გეოლოგიის, მეტალურგიის, გეოფიზიკის, გეოგრაფიის, არაორგანული ქიმიის და სხვა) შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც აქტიურად უნდა დაეჭირა მხარი ა.ბაქრაძის კანდიდატურისათვის. ამ ჯგუფის ხელმძღვანელობა მე დამევალა.

ჩატარდა ამომრჩეველთა კრება, რომელსაც კანდიდატების რეგისტრაციაში გატარების საკითხი უნდა გადაეწყვიტა. კრება იმყამინდელი საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში ტარდებოდა (ყოფილი პავლოვის ქუჩაზე). წარმომადგენელთა კრებას 600-ზე მეტი ამომრჩეველი ესწრებოდა, ხოლო შენობის მიმდებარე ტერიტორია ხალხით იყო გაჭედილი. მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენელთა კრებაზე ა.ბაქრაძის მხარდამჭერნი მესამედსაც არ წარმოვადგენდით, მაინც მოხერხდა და კრების თავმჯდომარედ მე ამირჩიეს. ხელისუფლების წარმომადგენელთა მცდელობა — „ჩაეგდოთ“ ა.ბაქრაძის კანდიდატურა, ვერ მოხერხდა და იგი რეგისტრირებულ იქნა როგორც დეპუტატობის კანდიდატი, ხოლო შემდგომ არჩევნებშიაც გაიმარჯვა.

1989 წლის სექტემბერში ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პირველი ყრილობა, რომელზედაც ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად ამირჩიეს, ხოლო 1990 წლის ოქტომბერში — საზოგადოების პრეზიდენტად.

1990 წლის მარტში ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩატარდა საქართველოს ოპოზიციურ პარტიათა და ორგანიზაციათა პირველი ყრილობა, რომელსაც 2000-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. ყრილობაზე არჩეულ იქნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო და მეც ამ ორგანოს შემადგენლობაში ამირჩიეს, როგორც რუსთაველის საზოგადოებისა და მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი. სათათბიროს სხდომები იმელ-ის შენობაში იმართებოდა. 1990 წლის 14 აპრილს მოხდა განხეთქილება და სათათბირო ფაქტიურად ორ ნაწილად გაიყო, რომლებიც შემდგომში „მრგვალ მაგიდად“ და „ეროვნულ კონგრესად“ ჩამოყალიბდა. ჩემის აზრით, ეს დიდი შეცდომა იყო, რადგან მოძრაობა ორ დაპირისპირებულ ფრთად გაიხლიჩა, რამაც, ცხადია, ზიანი მიაყენა ეროვნულ მოძრაობას.



თენგიზ სიგუა და ჯეიმს ბეიკერი

1990 წლის აპრილიდან ჩამოყალიბდა პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა“, რომლის ხელმძღვანელ ორგანოში მეც შემიყვანეს და ამ დღიდან აქტიურად ვმონაწილეობდი ამ გაერთიანების, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური პროგრამების შემუშავებაში.

1989 წლის 1 სექტემბერს დაფუძნდა საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი. აღნიშნული ფონდის სათათბიროს წევრები იყვნენ მერაბ კოსტავა, აკაკი ბაქრაძე, ირაკლი ბათიაშვილი, ზვიად გამსახურდია, პროფ. ოთარ გამყრელიძე, მაია თომაძე, დავით კუპრეიშვილი, რუსლან მიქაბერიძე, აკადემიკოსი თენგიზ ონიანი, თედო პაატაშვილი, თორნიკე ფიფია, თემურ ქორიძე, პროფ. დავით ხახუტაიშვილი, პროფ. ნოდარ ნათაძე, პროფ. თამაზ ჩიკვაიძე და სხვები. ამ სათათბიროს წევრი მეც გახლდით. ბ-ნ მ.კოსტავას წინადადებით სათათბიროს თავმჯდომარედ ბ-ნი ვ. ადამია იქნა არჩეული. ბ-ნ მ.კოსტავას ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ამ ფონდს მისი სახელი ეწოდა. ფონდის სათათბიროს სხდომები მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში იმართებოდა. ამ ფონდმა იმ წლებში ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა.

1990 წლის ივნისში შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელსაც უნდა მოემზადებინა უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც პირველად, საბჭოების არსებობის პირობებში მრავალპარტიულ და დემოკრატიულ პრინციპებზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. ამ კომისიის შემადგენლობაში რუსთაველის საზოგადოების წარდგინებით ვმონაწილეობდით მე და ბ-ნი ჯონი ხეცურიანი. არასოდეს დამავიწყდება 1990 წლის ზაფხულის ცხელი დღეები, როცა ცხარე კამათის შედეგად ხდებოდა ახალი საარჩევნო კანონის ყოველი მუხლის ჩამოყალიბება.

1990 წლის სექტემბერში, რუსთაველის საზოგადოების წარდგინებით, დავინიშნე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

ამდენად, დიდ პოლიტიკურ ასპარეზზე ჩემს წარმოჩენაში წვლილი მიუძღვის რუსთაველის საზოგადოებას და პოლიტიკურ გაერთიანება „მრგვალ მაგიდას“.

2. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების დროს თქვენ იყავით ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვებისთანავე კი გახდით საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ხომ არ არის ეს ორი ფაქტი ურთიერთკავშირში?

— როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 1990 წლის აპრილიდან მე „მრგვალი მაგიდის“ ხელმძღვანელი ორგანოს წევრი ვიყავი და აქტიურად ვმონაწილეობდი ყველა მისი პროგრამების შემუშავებაში. 28 ოქტომბრის არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვების შემდეგ, მიმდინარეობდა ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სესიისათვის მზადება, რომელიც 14 ნოემბერს უნდა ჩატარებულიყო. ზუსტდებოდა სესიის დღის წესრიგი და ხელმძღვანელ თანამდებობებზე წარსადგენ კანდიდატურათა სია. 11 ნოემბერს ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ განმიცხადა, ბლოკის ხელმძღვანელობასთან მოთათბირების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე თქვენი კანდიდატურა უნდა წარვადგინოთო. ჩვენი საუბარი დაახლოებით ნახევარი საათი გაგრძელდა და მე მას უარი ვუთხარი შემოთავაზებულ წინადადებაზე, თუმცა იქვე დავპირდი, რომ მეორე დღესვე წარვუდგენდი მას განსახილველად ერთ ან ორ კანდიდატურას. „ნუ ჩათვლით, რომ ჩვენი ამ თემაზე საუბარი ამოწურულია, ძალიან გთხოვთ იფიქროთ და დათანხმდეთ ჩვენს წინადადებას“ — ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. 13 ნოემბერს, გვიან ღამით, ჩემთან სახლში მოვიდნენ ბ-ნი გიორგი ხოშტარია და გელა ჩორგოლაშვილი. მათ მითხრეს, რომ არც ზ.გამსახურდია და არც ბლოკის ხელმძღვანელობა სხვა კანდიდატურის განხილვას არ აპირებენ და დამარწმუნეს, რომ უნდა დავთანხმებულიყავი შემოთავაზებულ წინადადებაზე. დაახლოებით ღამის ორის ნახევრამდე გასტანა ჩვენმა საუბარმა და საბოლოოდ მე მათ თანხმობა მივეცი. 15 ნოემბრის პარლამენტის სხდომაზე, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას წარდგინებით (იგი წინა დღეს არჩეულ იქნა პარლამენტის თავმჯდომარედ) პარლამენტმა მე ერთხმად ამირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

ამდენად ურთიერთკავშირშია არა ის, რომ მე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ვიყავი, არამედ ის, რომ მე ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ხელმძღვანელობაში ვმოღვაწეობდი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები საკმაოდ დემოკრატიულად ჩატარდა და ჩემი შეფასებით ფალსიფიკაციის დონე 3-4%-ს არ აღემატებოდა.

ბუნებრივია, დაგებადებათ კითხვა, ვისი კანდიდატურის წარდგენას ვაპირებდი მე ზ.გამსახურდიასთან პრემიერ-მინისტრის პოსტზე. არ დაგიმალავთ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრემიერის, აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილისას (რასაკვირველია, თუ იგი დათანხმდებოდა).

3. ოპოზიციურ მიტინგებზე, პრესაში, ხშირად ფიქსირდებოდა ის აზრი, რომ „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვება კომუნისტე-

გაგრძელება მე-3 გვ.

მეორე გვერდიდან

ბის მიერ იყო დაგეგმილი, რომ კომუნისტებმა ნებაყოფლობით, შეგნებულად დათმეს ძალაუფლება ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციის მიზნით და განავითარეს ის სცენარი, რაც შემდგომ მოვლენებში აისახა, რამდენად მართალია ეს ვერსია?

— იმ აზრს, რომ არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვება კომუნისტების მიერ იყო დაგეგმილი, მე ვერ გავიზიარებ. ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (გარდა საქართველოსი, ლიტვისა და სომხეთისა) იმ პერიოდში ჩატარებულ არჩევნებში კომუ-

ნისტებმა გაიმარჯვეს. თუ ეს სცენარი მოსკოვში იყო დამუშავებული, მაშინ იგი ბევრად უფრო მეტ რესპუბლიკებში უნდა განხორციელებულიყო. გავიხსენოთ, ვინ მოვიდნენ რესპუბლიკებში ხელისუფლების სათავეში არჩევნების შემდეგ: რუსეთში ელცინი, უკრაინაში — კრავჩუკი; ბელორუსიაში — შუშკევიჩი, ყაზახეთში — ნაზარბაევი, უზბეკეთში — ქერიმოვი, თურქმენეთში — ნიაზოვი, მოლდავეთში — სნეგური, ლატვიაში — გორბუნოვი, აზერბაიჯანში — მუტალიბოვი და ა.შ. — ესენი ხომ შესაბამისი რესპუბლიკების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები ან მაღალი რანგის პარტიული ფუნქციონერები იყვნენ. ლანდსბერგისი ლიტვაში, გამსახურდია საქართველოში, ტერ-პეტროსიანი სომხეთში — მხოლოდ ამ სამ რესპუბლიკაში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა.

ჩემის აზრით, ამ პროცესს უფრო ღრმა სოციალურ-პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მიზეზები უდევს საფუძვლად. იმ დროისათვის უკვე ნათელი იყო, „ბოროტების იმპერიას“ იდეოლოგიური საფუძველი ეცლებოდა, ხოლო ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ამ პროცესს იმპერიის დაცემა უნდა მოჰყოლოდა. რუსეთის იმპერიალიზმი მე-20 საუკუნეში კომუნისტურ იდეოლოგიას დაეყრდნო, რომელმაც შვიდი ათეული წელი გაძლო. 80-იანი წლების ბოლოს ეს იდეოლოგია განიცდის კრახს და ცხადია იმპერია ცდილობს მისი ახალი იდეოლოგიით შეცვლას, რომელიც მას ახალ იმპულსებს მიანიჭებდა. ახალი იდეოლოგია კი (მხედველობაში მაქვს მძლავრი მსოფლმხედველობრივი ტენდენციები), რომელიც იმპერიის შენარჩუნების საფუძველი გახდება, არ არსებობს. ვექტორი იცვლის მიმართულებას — მზერა დასავლეთისაკენ მიემართება: ე.წ. „ტექნიკისტური“ მსოფლმხედველობა, აი რამ შეიძლება იხსნას იმპერია. ტექნიკიზმი კი გულისხმობს მაღალი ეკონომიკური დონის მიღწევას უახლესი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების საფუძველზე. გადაარჩენს კი ეს დასავლური მსოფლმხედველობა რუსულ იმპერიალიზმს? ჩემის აზრით, ვერ გადაარჩენს.

ამდენად, კომუნისტები თავად ცდილობენ უარი თქვან არსებულ სტრუქტურაზე და მოერგონ დასავლურ მოდელს, მაგრამ ეს ისე უნდა განხორციელდეს, რომ ძალაუფლება მათ ხელიდან არ უნდა გაუშვან. და იწყება გარდაქმნების ჯაჭვური რეაქცია: ყოფილი კომუნისტები იცვლიან ფერს და გარდაიქმნებიან დემოკრატებად, სოციალ-დემოკრატებად, ლიბერალ-დემოკრატებად და ა.შ. მიდის წითლების გავარდისფრების პროცესი. რიგ შემთხვევებში ამ პროცესების განხორციელებაში იყენებენ ეროვნულ ძალებსაც.

რაც შეეხება საქართველოში განვითარებულ პროცესებს: უნდა დავადასტურო, რომ კომუნისტებს ფარ-ხმალი ერთბაშად არ დაუყრიათ, თუმცა წინასაარჩევნო პერიოდში მათგან უფრო შემართებით ბრძოლა იყო მოსალოდნელი. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და საქართველოში ეროვნული მოძრაობა 1988—90 წლებში მნიშვნელოვნად კლებულობდა. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისში, ვილნიუსში და ბაქოში დატრიალებულმა ტრაგედიებმაც.

ჩემის აზრით, საქართველოს კომუნისტები არასწორ პოლიტიკურ პროგნოზებს აკეთებდნენ. მე, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ხშირად მიწევდა შეხვედრები პოლიტიკური ბლოკებისა და პარტიების ხელმძღვანელებთან. არჩევნებამდე ორი კვირით ადრე (13 ან 14 ოქტომბერს) მქონდა შეხვედრა კომუნისტების ლიდერთან ბ-ნ გივი გუმბარიძესთან. იგი დიდად გაკვირვებული დარჩა, როცა ჩემი პროგნოზი მოისმინა იმის შესახებ, რომ კომუნისტები მაქსიმუმ ხმების 35-38%-ს მიიღებდნენ. იგი თავდაჯერებული ჩანდა და მარწმუნებდა, რომ სულ ცოტა ხმების 70%-ს მიიღებდნენ. საპირისპირო განწყობილება იყო ბლოკ „მრგვალ მაგიდაში“. როდესაც იმავე პერიოდში იმ ბლოკის ლიდერს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას ვაცნობე ჩემი პროგნოზი იმის თაობაზე, რომ მათ რეალური შანსი ჰქონდათ ხმების 45-48%-ის მიღებისა, იგი სკეპტიკურად შეხვდა ამ ცნობას. „ნუთუ მართლა გვაქვს შანსი ხმების თითქმის ნახევრის მიღებისა?“ — ასეთი იყო მისი რეაქცია. არჩევნების შედეგები: კომუნისტებმა ხმების 26% მიიღეს, ხოლო „მრგვალმა მაგიდამ“ თითქმის 60%. დანარჩენი ხმები სხვა პარტიებს შორის განაწილდა.

4. როდის დაიწყო თქვენი და გამსახურდიას პირადი და პოლიტიკური ურთიერთობა, რამ განაპირობა ის დიდი ნდობა, რაც გამსახურდიამ არჩევნებისთანავე გამოგიცხადათ?

— ჩემი ახლო პირადი და პოლიტიკური ურთიერთობა ზვიად გამსახურდიასთან დაიწყო 1988 წლიდან, თუმცა მას ადრეც ვიცნობდი, ჩვენ ხომ ერთ სკოლაში ვსწავლობდით: თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში. გარდა ამისა, მე ახლო ამხანაგური ურთიერთობა მქონდა მის უფროს დასთან, აწ გარდაცვლილ ქ-ნ თამარ გამსახურდიასთან. რა საფუძველს ეყრდნობოდა ჩვენი ურთიერთობა, მე უკვე ზემოთ მოგახსენეთ.

მაგრამ იყო სხვა, პირადული ურთიერთობის მომენტებიც. 1989 წელს გალის ჭუჩაზე, კოლხური კოშკის შესასვლელ ჭიშკართან, მოეწყო აფეთქება, რომელსაც პროვოკაციული მიზანი ჰქონდა — დაშინება. მეორე დღეს ზვიადმა მომიტანა ინსტიტუტში, რომელსაც მე ვხემძღვანელობდი, აფეთქების შედეგად დარჩენილი ნამსხვრევები და მთხოვა ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე დამედგინა, თუ რა ასაფეთქებელი ნივთიერება იყო გამოყენებული.

თუ არ ვცდები, იმავე წელს აშშ-ში ქ. სან-დიეგოში ეწყობოდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ფესტივალი, სადაც საქართველოს, რუსეთთან და უკრაინასთან ერთად უნდა მიეღო მონაწილეობა. ჩემთან მოვიდნენ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია და შემატყობინეს, რომ ამ ფესტივალზე საქართველოდან ექსპონირებული უნდა ყოფილიყო ჩვენი ეროვნული საგანძურის ნიმუშებიც. როგორც მათ მაცნობეს, ხელისუფლებას ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი აქვს, მაგრამ ხელოვნების მუზეუმის მეცნიერები და სპეციალისტები წინააღმდეგნი არიან, რადგან ეშინიათ ტრანსპორტირების დროს მათი დაზიანებისა. მათ მთხოვეს, გამომეჩინა ინიციატივა, მიმემართა კულტურის სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიისათვის, რათა ჩემი ინსტიტუტის ბაზაზე შეგვესწავლა ეს ნიმუშები და მიგვეცა დასკვნა, შეიძლებოდა თუ არა მათი ტრანსპორტირება. ვარაუდი სწორი აღმოჩნდა — ეროვნული საგანძურის ის ექსპონატები, რომლებიც უნდა გაეგზავნათ ქ.სან-დიეგოში (მათ შორს ტიხროვანი მინანქარის შესანიშნავი ნაკეთობანი) ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ მათი ტრანსპორტირება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ასეთი დასკვნა გავეცით მეცნიერებათა აკადემიასაც და კულტურის სამინისტროსაც, რაც გახდა საფუძველი ამ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნისა.

ჩვენ ერთად მოგვიწია თანამშრომლობა აგრეთვე სახელმწიფო კომისიაში, რომელიც ქ.მცხეთის „ქალაქ-მუზეუმად“ გარდაქმნის პროგრამის მომზადებას შეეხებოდა (კომისიის თავმჯდომარე გახლდათ არქიტექტურის აკადემიკოსი, იმჟამად საქართველოს „სახმშენის“ თავმჯდომარე ბ-ნი გურამ მირიანაშვილი).

იმჟამად საზოგადოებაში ფართო მსჯელობის საგნად იქცა ამიერკავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის საკითხი. მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა კომისია ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელშიაც მეც ვმონაწილეობდი. ზ.გამსახურდია ხშირად მეკითხებოდა, როგორ მიდის ჩვენი კომისიის მუშაობა და მახსოვს როგორ გაიხარა, როცა ვუთხარი, რომ მკვეთრად უარყოფითი დასკვნა დავწერეთ ამ პროექტის განხორციელების თაობაზე.

რამოდენიმეჯერ ერთად მოგვიწია მგზავრობა ჯავახეთში, სადაც იმჟამად მიმდინარეობდა აჭარაში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის სახლების მშენებლობა (ჩუნჩხა, გოგაშენი).

ყველა ამ შეხვედრების დროს ჩვენ გვქონდა სერიოზული საუბრები როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ საკითხებზე.

ჩემის აზრით, სწორედ ამ ურთიერთობებმა განაპირობა ის ნდობა.

აკაკი ასათიანი: ეს „მრგვალი მაგიდა“ ზვიადსაც ვუთხარი, მაგრამ...

მახსოვს, თენგიზ სიგუამ რომ ეროვნულ ფორუმში მიიღო მონაწილეობა, სასიხარულო იყო, ვინაიდან ვიცოდით, რომ ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო. იგი სანდომიანი, განათლებული, თავაზიანი პიროვნებაა. ასეთი ადამიანის ჩართვა ეროვნულ მოძრაობაში ჩემთვის სასიხარულო გახლდათ.

ბატონი თენგიზი ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა თავმდაბლობით, საქმისადმი დამოკიდებულებით, საკითხისადმი სერიოზული მიდგომით. ფორუმის გაყოფის შემდეგ იგი „მრგვალ მაგიდაში“ აღმოჩნდა. ძალიან ხშირად ერთ აზრზე ვიდექით მე, თენგიზ სიგუა, გოგი ხოშტარია, თედო პაატაშვილი და კიდევ გარკვეული ნაწილი, რაშიც ბატონი თენგიზი დადებით როლს ასრულებდა. მართალია, იგი მიტინგებზე არ გამოდიოდა, მაგრამ ძალიან სერიოზულად მუშაობდა, იქნებოდა ეს „მრგვალი მაგიდის“ სხდომები, თუ ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობა, სადაც თავმჯდომარის მოადგილე იყო. მაშინ არჩევნები ყველაზე დემოკრატიულად ჩატარდა, რაშიც ბატონი თენგიზის წვლილიცაა.

„მრგვალი მაგიდის“ წევრებს მიგვაჩნდა, რომ პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა უნდა ყოფილიყო, მისი აქტიური მხარდამჭერი მე და გოგი ხოშტარია ვიყავით და ეს აზრი ზვიად გამსახურდიამაც გაიზიარა. ამ პოსტზე მის მოღვაწეობას ჩვენი ხელისუფლების დროს ასევე დადებითიაც ვაფასებ. შეიძლება თავიდანვე გამოცდილება აკლდა, მაგრამ შემდგომში დღე და ღამე სერიოზულად, თავაუღებლად მუშაობდა და ძალიან კარგი პრემიერ-მინისტრი იყო და ჩემშიც დიდ სიმპატიებს იწვევდა. ამატომ, მისი გადადგომისას, 4 საათი ვესაუბრე, რადგან ეს ნაბიჯი ქვეყნისთვის ცუდი იქნებოდა. სამწუხაროდ, ვერ გადავარწმუნე.

შემდგომ მის მოღვაწეობას, რა თქმა უნდა, დადებითად ვერ შევაფასებ. მესმის კაცი ოპოზიციაში იდგეს, სხვა მოსაზრებები ჰქონდეს, მაგრამ ყოველივე რითაც დამთავრდა, ნგრევითა და სამოქალაქო ომით, არა მგონია ბატონი თენგიზიც კმაყოფილი ყოფილიყო.

აგვისტოს პუტჩამდე ერთი-ორი დღით ადრე გადადგა. ბევრი ამბობდა, რომ იგი საქმის კურსშიც იყო. ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. მაგრამ მაშინ დამირეკა და საჭირო თუ არის ჩვენთან ერთად იქნებოდა. მე ძალიან გამეხარდა და ეს ამბავი ზვიადსაც ვუთხარი, მაგრამ თავი ძალიან შორს დაიჭირა — არაფერში გვჭირდებაო.

მომეწონა მისი ნაბიჯი, როდესაც პურის ფასები გაათავისუფლა და მიწის ნაკვეთებზე განკარგულება გამოსცა. ეს ბატონი თენგიზის პრინციპული პოზიცია გახლდათ. ეკონომიკის საკითხებში მას ყოველთვის პროგრესული შეხედულებები ჰქონდა. მოწმე ვარ ქვეყნის ინტერესებისათვის რა ნაბიჯებსაც დგამდა და არ გამიგია, ფულის რაიმე მაქინაციებში გარეულიყო. ორიოვჯერ კარგი პრემიერ-მინისტრი იყო, თუმცა გადატრიალების შემდეგ მასთან კონტაქტები აღარ მქონდა.

ზოგიერთ საკითხებში ზვიადსა და თენგიზს პრინციპულად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ, შევარდნაძესთან ურთიერთობაში, ჩემი აზრით, პირადი დაპირისპირებაც იყო. ეს ბატონი თენგიზის ხასიათიდან გამომდინარეობდა, ვინაიდან იგი არცერთი მათგანის მორჩილი პრემიერ-მინისტრი არ ყოფილა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მამუკა არეშიძე:
...მერე რა მოხდა გამსახურდიას კაბინეტში, გადმოცემით ვიცი...

თენგიზ სიგუა 2 სექტემბრის მიტინგის დარბევის შემდეგ გავიცანი. მაშინ მათთან შავნაბადაზე ავედი. თავიდანვე მომხიბლა მისმა ინტელიგენტურობამ, საქმისადმი სერიოზულმა მიდგომამ და იქ, საერთოდ, კეთილ ემოციებს ქმნიდა.

ბატონ თენგიზს უამრავ კეთილ თვისებებთან ერთად, ერთი უარყოფითი თვისებაც ჰქონდა — იმპულსური იყო. ყოველთვის უამრავ ინფორმაციას ფლობდა, მაგრამ მათ ინტერპრეტაციას თავისი სურვილის მიხედვით ახდენდა. მისი მოწინააღმდეგეები ცოტა სიჯიუტესაც უკიჟინებდნენ.

მაგრამ მას სხვა იმდენი კეთილი თვისებები ჰქონდა, რომ ერთი-მეორეს აწონასწორებდა.

ბატონ თენგიზს ვხვდებოდი თბილისის ზღვაზე, კონფლიქტის პერიოდში და მის შემდეგაც. მხოლოდ აფხაზეთის ომთან დაკავშირებით ჩვენი პოზიციები ცოტა გაიყო.

— დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს ჰქონდა თუ არა ოპოზიციას რუსეთის ჯართან ურთიერთობა?

— ეს დასამალი უკვე აღარ არის. კონტაქტები იყო თბილისის ომის დროსაც და მანამდეც. ამ პროცესის დაწყებისას, ვერ ვიტყვი, რომ მაშინ ჩარეული იყო რუსეთის სპეცსამსახურები. მჭონდა ეჭვი, რომ ამ მოძრაობის სიღრმეში შეიძლება შესულიყვნენ და კონტაქტები ჰქონოდათ კიტოვანთან და სიგუასთან. თბილისის ომამდე მე ეს კონტაქტები ვერ შევამჩნიე. თბილისის ომის დროს კი უკვე შესამჩნევი გახდა. იყო ტყვია-წამალი, იარაღი. მე შთაბეჭდილება მჭონდა, რომ კიტოვან-სიგუას მომხრეები ამ იარაღს ყიდულობდნენ. მინდა დაფიქსირდეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი — რუსეთთან კონტაქტი რომ იყო, ამას ლაპარაკი არ უნდა. მაგრამ ყიდვით ხდებოდა იარაღის შეძენა თუ ჩუქნიდნენ, ეს არ ვიცი.

მომსწრე ვარ სიგუა-გამსახურდიას სატელეფონო საუბრისა სასტუმრო „თბილისის“ ფოიეში. 22 დეკემბრამდე ბატონი სიგუა თხოვდა, ცოცხალ ეთერში ტელევიზიით ვილაპარაკოთო. გამსახურდიას მხრიდან ამაზე რეაქცია არასდროს ყოფილა. ტელეფონით საუბრისას, მახსოვს, ზვიადი ეუბნებოდა — როგორც გინდა ისე მოვიქცეთ, ოღონდ ხალხი ნუ დაიღუპებაო. სიგუაც ამას ეუბნებოდა — ხალხს ნუ დავხოცავთო.

მოლაპარაკება იყო ზვიადის ბათუმში წასვლაზე. 22 დეკემბრის ღამეს პრაქტიკულად შეთანხმება მიღწეულ იქნა. თუ გახსოვთ, მაშინ ორივე მხარემ ცეცხლი შეწყვიტა, მაგრამ მერე რა მოხდა ზვიადის კაბინეტში, გადმოცემით ვიცი, თუ როგორ არ მისცეს მას ამ გადაწყვეტილების განხორციელების საშუალება. ასე ჩაიშალა ეს მოლაპარაკება, რომლის შემდეგაც ბესო ჭუთათელაძე ანძაზე ავიდა თავის საჩხერის ბატალიონთან ერთად.

საერთოდ, ზვიადის სამხედრო ძალა ერთი მესამედით მაინც სჭარბობდა. როცა ამბობენ, კიტოვანი თავს დაესხაო, არ არის სწორი, ვინაიდან სათანადო ძალის არქონის გამო, შეტევას ვერ განახორციელებდა.

პროსპექტზე 150 კაცი იყო, ხოლო 22 დეკემბერს კოსტავას საზოგადოების ხალხი იქიდან წავიდა და დარჩა 15 მხედრიონელი. პრაქტიკულად რეალური სამხედრო ძალა არ იყო. ერთი გაუბიცაც სერიოზული იარაღი არ გახლდათ. კიტოვანი მოვლენების განვითარებას აჰყვა. მთავრობის სასახლიდან ცეცხლის გახსნისას ზოგიერთმა ბიჭებმა აღარ დაუჯერეს. იქ ყველა გვარდიელი არ ყოფილა. ნაწილი მოხალისეებისგან შედგებოდა.

თენგიზ სიგუაცა და თენგიზ კიტოვანიც ძალიან დიდი თამაშის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. რასაკვირველია, ორივე მხარეს ძალიან ძლიერად მუშაობდა სპეცსამსახური, ამას ვერაფრით გამორიცხავ და ყველაფერი გააკეთეს ერთმანეთთან დასაჯახებლად, რათა შერიგება არ მომხდარიყო. ეს იგრძნობოდა კიდევაც.

მინდა ვთქვა, რომ გამსახურდიაცა და სიგუაც ტრაგიკული ფიგურებია, რომლებიც შეეწირნენ იმ მოვლენების განვითარებას, რომლებიც მათ არ ექვემდებარებოდნენ.

1991 წელი, თბილისი, აშშ-ს ექსპრეზიდენტი ნიქსონი

ბიორგი კობახიძე:
...ამ შეცდომამ გაჭრილი თენგიზი იქამდე მიიყვანა, რომ...

მე თენგიზ სიგუას პოლიტიკური კარიერის დასაწყისში ყველაზე ხშირად ვხვდებოდი. ჩვენ ერთად ვიყავით და ემუშაობდით მეცნიერებათა აკადემიაში დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლობითი სათათბიროს ხელმძღვანელ შვიდკაციან ორგანოში. ამ სათათბიროს წარმომადგენელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა შემდგომში პოლიტიკაში გააგრძელა გზა, ოღონდ, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიმართულებით.

ბატონი თენგიზი კარგი საურთიერთობო ადამიანია, მრავალმხრივი, სიმპათიური პიროვნებაა და პირადი კონტაქტების დროს, თანამოსაუბრეს სირთულეებს არ უქმნის. რაც შეეხება მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, ამ კუთხით ვთვლი, რომ ბატონმა თენგიზმა ერთი პრინციპული შეცდომა დაუშვა, რომელიც ქართველი პოლიტიკოსების დიდ ნაწილს ახასიათებს. კერძოდ, მიმართულება აირჩია სუბიექტური მიზეზების საფუძველზე და არა იდეოლოგიისა და პარტიულობის კუთხით, რაც ადამიანს ნაკლები შეცდომების დაშვების შესაძლებლობას აძლევს. მოგეხსენებათ, სუბიექტური აზრი ცვალებადია, და მრვლენათა ცვალებადობაზეა დამოკიდებული, რაც პიროვნების ბუნებასა და პატიოსნება-არაპატიოსნებაზე არ არის დამოკიდებული. სუბიექტური მიზეზებით პოლიტიკაში ყოფნა ნიშნავს, რომ მოვლენათა ყოველმხრივი ანალიზი არ არის და ცივილიზებული პოლიტიკისათვის საჭირო პრინციპები არ მუშაობს.

ამ შეცდომამ ბატონი თენგიზი იქამდე მიიყვანა, რომ აღზევებაც და ჩავარდნებიც ჰქონდა. მის გარშემო რაც დატრიალდა, იმაზე მეტყველებს, თუ როგორ შეიძლება განათლებული, მომზადებული, კარგი განწყობის გამომწვევი პიროვნება მოხვდეს ძალიან უხერხულ და ზოგჯერ მძიმე მდგომარეობაშიც კი, თუ მან არ აღიარა პრინციპი.

— მასთან თქვენი პარტიის დაპირისპირება, სწორედ აქედან გამომდინარეობდა თუ სხვა მიზეზიც არსებობდა?

— პრემიერ-მინისტრობასთან დაკავშირებით ჩვენი ამოსავალი არ იყო თ.სიგუას ფიგურა. აქ ამოსავალი გახლდათ პრინციპი ქვეყნის მეთაური და პრემიერ-მინისტრი ერთი მიმართულების მატარებელი და განმახორციელებელნი უნდა ყოფილიყვნენ. არჩევანი ერთერთი უნდა ყოფილიყო. ან შევარდნაძე დარჩენილიყო თავისი მხარდამჭერებით, ან სიგუა და მისი გუნდი. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ მაშინ შევარდნაძეს დიდი უპირატესობა ჰქონდა და მასზე უნდა აგებულიყო ჩვენი პრინციპი. ეს გახლდათ წინააღმდეგობის მიზეზიც.

— მაგრამ შევარდნაძემ ხომ დაუჭირა მხარი ბატონ თენგიზის პრემიერ-მინისტრობას, როდესაც პირველი კენჭისყრით მისი კანდიდატურა არ გავიდა?

— ამ მხარდაჭერაში, რომ შევარდნაძე სწორი არ იყო, ეს დრომ აჩვენა. შევარდნაძე მოქმედებდა არასწორი, ყოვლად გაუმართლებელი პოლიტიკური დაბალანსების პრინციპებით. ეს არის წინასწარი წაგებისთვის განწირული თამაში. ამას ბევრი რამ შეეწირა. ამის შედეგი გახლდათ ომის წაგებაც, ვიცით, ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმაც ვერ ვითარდებოდა და საგარეო პოლიტიკური კურსი 180–ით შემობრუნდა. მისი დასავლური ორიენტაცია, რომელიც ეჭვს არ იწვევდა ჩამოსვლიდან რამდენიმე ხნის მანძილზე, შემდეგ, უცებ ჩრდილოეთისკენ მიტრიალდა. ამიტომაც აქ მისი პასუხისმგებლობაც მეტია.

— შევარდნაძის პოლიტიკის ჩრდილოეთისაკენ მობრუნება ხომ თ.სიგუას ბრალი არ არის?

— შევარდნაძის პოლიტიკა ორ ძირითად შემადგენელ ნაწილად იყოფა. საგარეო პოლიტიკის უარყოფითი ნიშნით, შემობრუნების მიზეზი მცდარი საშინაო პოლიტიკა გახლდათ. როდესაც შიგნით, ოჯახში მყარად არა ხარ, გარეთაც საკუთარ ძალას ნაკლებად გრძნობ.

თუ ვინმე ოპონირებდა შევარდნაძეს ასეთი საშინაო პოლიტიკის გამო, ეს ჩვენ ვიყავით. სამწუხაროდ, მართლები აღმოვჩნდით, როდესაც პრინციპებს ვწევდით წინა პლანზე და სათათბიროში მოვითხოვდით ამ პოლიტიკური ურთიერთობის გამოკეთებას.

ყველაფრის მიზეზი შევარდნაძე-სიგუას შეუთანხმებლობა იყო. ორივეს უნდა ყოფნოდათ ნაბიჯის გადადგმის უნარი, რომ ერთად არ ემუშავათ. ერთს დაეთმო, ან მეორეს მოეთხოვა ასპარეზიდან წასვლა. ეს ჩვეულებრივი წესია, რომელიც სხვაგან მუშაობს, ჩვენთანაც აუცილებლად იმუშავებს, ვინაიდან წესი თავისთავად მუშაობს. პოლიტიკაში გუნდური პრინციპი მოქმედებს, რომ პოლიტიკის მმართველი პარტია უნდა იყოს.

ვახტანგ რჩეულიშვილი:
ისინი აღარ იყვნენ საჭირონი...

თენგიზ სიგუა ბოლოდროინდელ პოლიტიკაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. თქვენ იცით, რომ იოსელიან-კიტოვან-სიგუას ტრიუმვირატი საქართველოს სათავეში ჩაუდგა ზ.გამსახურდიას ხელისუფლების გადატრიალების შემდეგ და წლების მანძილზე პრემიერ-მინისტრი გახლდათ. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ბოლოდროინდელ ისტორიას მან დიდი კვალი დააჩნია.

მას უდავოდ აქვს მთელი რიგი დასაფასებელი თვისებები, როგორებიცაა პატიოსნება, საქმისთვის გული შეტკივა, პიროვნულად საკმაოდ სიმპატიურია, მაგრამ ამავე დროს, გამსახურდიასთან და შევარდნაძესთან მუდმივ ჭიდილში მას ყველაფრის უარმყოფელი ხასიათი გამოუმუშავდა. ანუ მე მგონი დასჩემდა ზედმეტად ყველაფრის შავ ფერებში დანახვა. ზოგ შემთხვევაში ამას ობიექტური საფუძველი ჰქონდა, მაგრამ შემდგომ სუბიექტურ კრიტიკაში გადაიზარდა, ამიტომაც თავის ხარისხებს კარგავდა. მე ამას ასე ავხსნი: ბატონ თენგიზს არ ჰქონდა გავლილი ყველა ის საფეხური, რაც ქვეყნის მართვისთვის იყო საჭირო. იგი დირექტორი იყო და კოლექტივშიც ყველას უყვარდა, მაგრამ უცებ პრემიერ-მინისტრი გახდა, რაც ძალიან დიდი სხვაობა იყო. ახლა წარმოიდგინეთ ამხელა ნახტომმაც. თავისი შედეგი გამოიღო უკვე მის პოლიტიკურ მოღვაწედ ფორმირებაში.

მე ვიტყოდი, რომ ბატონი თენგიზის ყველაზე დიდი შეცდომა იყო, როდესაც მან ვაუკაცური გადადგომის შემდეგ, ტექნიკური უნივერსიტეტის შეთავაზებულ რექტორობაზე უარი თქვა. ეს კი საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობაა. თანაც ვინმეს სკამი კი არ შეუთავაზებიათ, არამედ მაშინ ყოფილი რექტორი საფრანგეთის ელჩად დანიშნეს და ეს ადგილი პრაქტიკულად ვაკანტური იყო.

სხვა ყოველგვარი მისი წასვლა, ეს იყო მისი პოლიტიკაში ჩაბმა კონფრონტაციული თვალსაზრისით. წარმოიდგინეთ რექტორად მეცნიერი კაცი, დოქტორი პრემიერ-მინისტრის გამოცდილებით, კოლექტივიც მშვენივრად მიიღებდა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ე.შევარდნაძესთან ვერც ბატონი თენგიზი, ვერც თ.კიტოვანი და ვერც ჯ.იოსელიანი ვერ იმუშავებდნენ. სამივენი სულ სხვადასხვა ტიპის პიროვნებები არიან.

აი, სად არის ე.შევარდნაძის გონიერი მიდგომა არსებული პრობლემისადმი. განა შევარდნაძემ არ იცოდა, რომ სიგუა მისი ჩამოყვანის წინააღმდეგი იყო? მაგრამ ბატონმა ედუარდმა იცოდა, რომ მომენტალურ საკადრო ცვლილებებს ისევ ქაოსი მოჰყვებოდა. შევარდნაძემ, როგორც გონიერმა პოლიტიკოსმა კურსი აიღო არარევოლუციურ საკადრო ცვლილებებზე, მაგრამ როგორც კი სიტუაციამ რესპუბლიკაში, სტაბილურობას მიაღწია, უკვე სამივენი აღარ იყვნენ საჭირონი.

როინ ლიპარტელიანი:
ის არ იმსახურებდა იმას, რაც გაუკეთეს თენგიზ სიგუამ და მისმა თანამოაზრეებმა

ბატონ თენგიზ სიგუას მე ვიცნობ 1988 წლიდან. კერძოდ, მერაბ კოსტავას ფონდის მოღვაწეობიდან. უდაოდ ძალზე ნიჭიერი პიროვნებაა, მაგრამ მე პირადად მას ვერასოდეს ვაპატიებ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ გამოსვლებს. დიახ, შეიძლება და ეს გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო, რომ ბატონ ზვიად გამსახურდიას შეცდომები მოსდიოდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მას არც ერთი ისეთი შეცდომა არ დაუშვია, რითაც ხელყოფილიყო საქართველოსთვის ყველაზე ნანატრი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების საკითხი, ამიტომაც ის არავითარ შემთხვევაში არ იმსახურებდა იმას, რაც მას გაუკეთეს თენგიზ სიგუამ და მისმა თანამოაზრეებმა.

თემის გაგრძელებას შემოგთავაზებთ შემდეგ ნომერში

აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო №14-15“

ზედმეტი ადამიანები

ლიტერატურა ე.წ. „ზედმეტ ადამიანთა“ მრავალგვარ ტიპს იცნობს. XIX და XX საუკუნის მწერლობაში უხვად გამოიკვეთა ასეთი სახეები. „ზედმეტი ადამიანის სახელით ვიცნობთ ისეთ პერსონაჟებს, როგორიცაა პუშკინის ონეგინი, ლერმონტოვის პეჩორინი, ტურგენევის ლავრეცკი, გიორგი ერისთავის ივანე დიდებულიძე, ილია ჭავჭავაძის გიორგი, ვაჟა-ფშაველას მინდია, ალუდა ქეთელაური, მიხეილ ჯავახიშვილის თეიმურაზ ხევისთავი, ნიკო ლორთქიფანიძის თავსაფრიანი ბედაკაცი, კონსტანტინე გამსახურდიას თარაშ ემხვარი, კონსტანტინე სავარსამიძე, ნოდარ წულეისკირის პანტე ჯაავა და სხვა. კიდევ მრავალი მწერლის პერსონაჟთა დასახელება შეიძლება ასეთ სიაში.

ეს პერსონაჟები ტიპოლოგიურად სრულიად განსხვავებულნი არიან და მაინც, მათ ერთი საერთო, „ზედმეტი ადამიანის“ სახელით მოიხსენიებთ ხოლმე. განმაზოგადებელი ნიშანი, რითაც აღნიშნული გმირები ხასიათდებიან, თვით „ზედმეტი ადამიანის“ ცნებაში მოიაზრება. (ეს ცნებაც, ცხადია, გარკვეული პირობითობის შემცველია, რადგან ბუნებაში არაფერი და მით უფრო არავინ შეიძლება იყოს „ზედმეტი“).

XIX საუკუნის ქართულმა სინამდვილემ წარმოშვა „ზედმეტი ადამიანები“, რომელთა ცოდნა, განათლება, მიზნები, ოცნებები და იდეალები უნაყოფო იყო. ისინი მოსწყდნენ პრაქტიკას, სინამდვილეს და იმავე სინამდვილის ულმობელმა ლოგიკამ ოცნებაში ჩამონაკვთული მათი სამყარო, მათი ილუზიები, სასაცილოდ საცოდავი გახადა. (ამგვარ პიროვნებათა ლიტერატურული ხატია ივანე დიდებულიძე).

იმავე XIX საუკუნის ქართულმა სინამდვილემ მოგვცა ისეთი ტიპის „ზედმეტი ადამიანები“, რომელთა სახეები აკაკის „რუსეთუმეში“ და „ღამურაში“ აირეკლა.

ყოველდღიურ წვრილმან, ყოფით გაწამაწიაში ჩაფლული საზოგადოებისათვის ზედმეტ ადამიანებად ქცეულან ისეთი ზნემაღალი და „უცხო“ თვისებების პირები, როგორიცაა ოთარაანთ ქვრივის გიორგი, ალუდა ქეთელაური, მინდია, რომელთა მთელი „დანაშაული“ ის არის, რომ ზურგი აქციეს დროებით ღირებულებათა მქონე მიზნებს და მარადიული იდეალების ერთგულ მსახურებად გვევლინებიან.

განხილვა

„ქამუშაძის გაჭირვება“

ნოდარ გრიგალაშვილი

XX საუკუნის დასაწყისში ქართულმა მწერლობამ „ზედმეტი ადამიანის“ სხვადასხვა ტიპი გამოკვეთა. საუკუნის დასაწყისში ინტელიგენცია იბრძოდა დიდი შემართებითა და მონდომებით. მაგრამ როცა თვით ხალხი მოექცა ბრძოლის ავანგარდში, ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელიც ადრე იღვწოდა „ხალხისათვის და არა ხალხთან ერთად“, ბრძოლის შედეგით შეძრწუნებული, მოძრაობას გამოეთიშა, გაირიყა, საერთო ბრძოლის შედეგში წილი აღარ ედო, ზედმეტ ადამიანებად იქცნენ. ასეთ მოღვაწეთა სახეა თეიმურაზ ხევისთავი.

ერთი სიტყვით, სხვადასხვა ეპოქაში და თუნდაც ერთსა და იმავე დროში, პიროვნების ზედმეტ ადამიანად ქცევას განსხვავებული ობიექტური საფუძველი განაპირობებს.

„ზედმეტ ადამიანებად“ ქცეულან დავით კლდიაშვილის აზნაურებიც, რომელთა ცხოვრებაში კრიზისული სიტუაცია დგება და ისტორიის ლოგიკა მათ მზისქვეშეთში ადგილს აცლის.

აზნაურობას თავისი ისტორიული ფუნქცია ერისა და ქვეყნის წინაშე აღარ აქვს. წასულა ხმალთა კვეთებისა და აბჯრის ჟღრიალის დრო. ახლა გუთანს უნდა მოეკიდონ და მუშაკებად იქცნენ. შრომა კი მათთვის სათაკილოა და დამამცირებელი. გავიხსენოთ, ყანაში ყაზახივით მომუშავე ოტიას დანახვა ცოლისთვის როგორ ტრაგედიად აღიქმება.

აზნაურობა გამოუვალ მდგომარეობაშია. თუ არ იშრომებენ, სიმშილით სული გაძვრებათ. იძულებულნი არიან იმუშაონ, მაგრამ ფიზიკური შრომაც ტრაგედიაა მათთვის, რადგან „ყაზახობა“ მათ კეთილშობილებას შეურაცხყოფს.

ასე რომ, ერთ დროს სანუკვარი წოდებრივი პრივილეგია, ახლა აზნაურთა სულიერი შეჭირვების ერთ-ერთ მიზეზად ქცეულა.

პრივილეგირებული წოდებისათვის კრიზისული სიტუაციები ყოველი ცივილიზებული ერის ისტორიამ განვლო, ასე რომ, „ზედმეტ ადამიანთა“ ისეთ ტიპებს, როგორსაც დავით კლდიაშვილი გვიხატავს, ცხადია, სხვაგვარი ხასიათებით, სხვა ქვეყნების წარსული ცხოვრებაც გამოჰკვეთს, მაგრამ „ქამუშაძის გაჭირვებაში“ თუ მწერლის სხვა თხზულებებში სრულიად განსხვავებულ საფუძველზე წარმოშობილ „ზედმეტ“ ადამიანთა გულისმომკვლელ სახეებსაც ვხედავთ.

ასე, მაგალითად, კლდიაშვილის სამყაროში ოჯახის წევრები ერთმანეთთან არა მარტო გაუცხოებულად გრძნობენ თავს, არამედ ამ ოჯახებში კიდევ მეტი უბედურება ტრიალებს. ოჯახში რომელიღაც წევრი ან წევრები „ზედმეტ ადამიანებად“ ქცევას არავითარი დიდი ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური საფუძველი არ უდევს. უბრალოდ, ისინი ზედმეტნი არიან ეკონომიური გაჭირვების გამო.

„ქამუშაძის გაჭირვებაში“ ახალგაზრდა შვილები ოჯახებიდან გარბიან და მოხუც მშობლებს, რომელთა რჩენა მათ არ შეუძლიათ, ღვთის ანაბარა მიატოვებენ. ასეთი ბედი ხვდა მოხუც ლევანსა და მის ცოლს ეფროსინეს. ეს უბედური ადამიანები აღარავის სჭირდება, არც მეზობელს, არც ნათესავს და საკუთარი შვილებისთვისაც ზედმეტ ბარგად ქცეულან...

კიდევ უფრო გულისმომკვლელია იმის წარმოდგენა, რომ საკუთარ ოჯახში ზედმეტ ადამიანებად გრძნობენ თავს სიცოცხლით სავსე, მშვენიერი ყმაწვილი ქალები, რომელთა გათხოვებას ფული სჭირდება. ვინც ნაკლებ ფულს მოითხოვს, მშობელიც ნივთივით იმას მისცემს თავის ქალიშვილს. ის ნაკლები ფულიც თუ არ აქვს, მაშინ სულაც ვერ გაათხოვებს და შინ დაუბერდება...

როცა სონიას დედამ, პელაგიამ შეიტყო, რომ მის ქალიშვილს საქმრო გამოუჩნდა, გულაჩუყებული, ოჯახის მარჩენალი ვაჟის სურათთან მივიდა და აჩიფჩიფდა: „აწი განთავისუფლდები, შენ გენაცვალე, განთავისუფლდები“... ქალაქიდან შვილის სოფელში გათხოვება კი განსაკუთრებით უხარია. რა მოტივით, აღარ იკითხავთ? „ახლოსაც არ გეყოლება — მიმართავს ბეგლარს, — წელიწადში შეიძლება ერთხელ, ორჯერ მეტად ვერ შემოდგამს ფეხს შენს სახლში...“ მხოლოდ ეს სიუჟეტი რომ აღეწერა დავით კლდიაშვილს, ამითაც თვალნათელი გახდებოდა, თუ რად შეიძლება აქციოს ადამიანი მხოლოდ კუჭის ინტერესებით ცხოვრებამ. „ქამუშაძის გაჭირვებაში“ არის ერთი პერსონაჟი, სარდიონ ქელიძის ქალიშვილი ნინო, რომლის ზნეობრივ სამყაროზე ვერაფერს ზეგავლენა ვერ მოუხდენია, მის სულს ბიწი არ ეკარება. ამ მშვენიერი ქალიშვილის ცხოვრების მაგალითით მწერალი იმასაც გვეუბნება, რომ ადამიანს ადამიანურობის შენარჩუნება ყოველგვარ სიტუაციაში შეუძლია. მაგრამ თანასოფლელთა შურიანობის, ჭორის, ამპარტავნობის, ზაკვისა და ზვაობის ფონზე, ნინოს ზნემაღლობა გამონაკლისად აღიქმება, გამონაკლისი კი წესს მხოლოდ ადასტურებს.

დამშეული საზოგადოების ცხოვრების წესად კი უზნეობა ქცეულა.

ღონიერი ქალაქი დასცინის მისუსტებულ სოფელს

რაკი სოფელში ყველა ერთნაირად გაჭირვებულია, აქ ცხოვრების სახსარის შეძენა ჭირს და ამიტომ, ბედის საძიებლად, სოფლელები ქალაქისაკენ ეშურებიან. ქალაქში მრავლად ცხოვრობს ხალხი, ამიტომ აქ გამორჩენის მეტი საშუალებაც უჩნდება კაცს.

სოფელს ჯერ კიდევ არ აუღია თავზე ხელი და სინდის-ნამუსს, ცოტაოდენს, მაგრამ ჯერ კიდევ ინარჩუნებს ხალხი. ქალაქმა კი სრულიად ახალი ტიპის ადამიანები შობა, ადამიანები, რომელთათვისაც სინდისი და პატიოსნება ცარიელი სიტყვების რახარუხია. იქ სადაც უსამართლობა, გაუნათლებლობა და საყოველთაო გაჭირვებაა, ცხოვრების მდინარე ასეთ კაცებს ამოაგდებს ზედაპირზე. მათ იციან, როგორ გაძარცვონ და მოატყუონ თანამოძმე, რაკი ისინი ქალაქში მომრავლდნენ, ამიტომაც მათი პირით, როგორც მწერალი წერს, ღონიერი ქალაქი დასცინის მისუსტებულ სოფელს.

იქ, სადაც პატიოსანი, მუხლჩაუხრელი შრომა შედეგს არ იძლევა, მოხერხებულობას, გაქნილობას, გაიძვერობას ეთმობა ასპარეზი, ვისაც ეს თვისებები საკმაოდ აღმოაჩნდება, ცხოვრების ლელოც იმას გააქვს. ასეთია ბეგლარ ჯინჭარაძე, რომელიც „უგუნლოდ ეპყრობოდა ყველაფერს, რისგანაც რამე სარგებლობას არ გამოელოდა თავისათვის, კაცს აფასებდა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად მისგან რამე უსარგებლია, ან გამოელოდა რამე სარგებლობას. მისთვის ყველაფერი უმნიშვნელო იყო და „სისულელე“, თუკი პირადად მას არ ასარგებლებდა. არაფერს სხვა რაიმეს მის თვალში ფასი არ ედებოდა. გუნებაში ათასჯერ წინ წაუყენებია თავი იმ „ნასწავლებზე და ნაწვალებებზე“, რომლებსაც მასავით ვერ მიუგნიათ იმ გზისთვის, რომელსაც საჭიროა კაცი ადგეს, თუ უნდა თავისი თავის ბედნიერება“.

ეს გზა, როგორც ვთქვით, გაიძვერობისა და თაღლითობის გზაა. ამ გზაზე შემდგარი მეორე პერსონაჟი, ბეგლარის ალი-კვალი პორფირი ბიაშვილი სოფელ თამარაშენში ჩასულა და როგორც ნაპოლეონ ბონაპარტე მორიგ დასაპყრობ ქვეყანას, ისე გადასცქერის მაღალი სერიდან სოფელ თამარაშენის მცხოვრებთ. „ამ მაღალ სერიდან რომ დასჩერებოდა აქაურ მოსახლეებს, იგი მხოლოდ იმას ფიქრობდა და თავის გუნებაში ზომავდა იმას, თუ რამდენ გამოსარჩენს იშოვიდა ამათგან და რამდენს საშოვარს შესძენდა ამათი გაჭირვებული, შევიწროებული და ვაგლახი ცხოვრება“.

ამ გაჭირვებულ, შევიწროებულ და ვაგლახ გლეხკაცთა და აზნაურთა სოფელს თამარაშენი ჰქვია. „ქამუშაძის გაჭირვებაში“ სოფლის სახელწოდებას სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს. თამარაშენი — დიდი მეფის, თამარის სახელს უკავშირდება. თამარი ქართველთა სიძლიერის, სილაღის, სიმდიდრის, ზნეობის, პატიოსნების, სიყვარულის სიმბოლოა. სოფელს მხოლოდ სახელწოდება შერჩენია ძველი. ქართველებსაც მხოლოდ სახელად შერჩენია ქართველი. ახალ დროში სოფლის სახელწოდება— თამარაშენი, უკვე მწარე ირონიად ჟღერს.

ანონსი

მომავალი ნომრიდან დაიბეჭდება „სამანიშვილის დედინაცვალის“ განხილვა

საით მიდის ჩვენი საბანკო სისტემა?

გვესაუბრება სააქციო ბანკ „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტი ვლადიმერ პატეიშვილი

— ბატონო ვლადიმერ, გთხოვთ თქვენს მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს...

— დავიბადე 1933 წლის 29 მარტს, დავამთავრე ბორჯომის ვაჟთა საშუალო სკოლა ოქროს მედალზე, შემდეგ მოსკოვის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი.

სხვადასხვა დროს ვმუშაობდი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის მოადგილედ — აქ ითვლის ათი წელი ვიმუშავე, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტში. ვიყავი პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი, სამხრეთოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი.

1977-დან 1991 წლამდე ვიყავი საქართველოს სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარე, შემდეგ ორი წელი ვხელმძღვანელობდი რესპუბლიკის შემნახველ ბანკს. 1994 წლიდან დღემდე ვარ „საქინესოცბანკის“, რომელიც შემდეგ გარდაიქმნა სააქციო ბანკ „საქართველოს ბანკად“, პრეზიდენტი. ვარ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მრავალი წლის განმავლობაში ვკითხულობდი პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მყავს მეუღლე — მანონი ჩხიკვაძე, პროფესიით ჟურნალისტი, ორი შვილი და შვილიშვილი.

ეს ჩემი ბიოგრაფიის მოკლე შტრიხები.

— საიდან დაიწყო სამსახურებრივი კარიერა?

— სტუდენტობის დროიდან. მაშინდელი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ხშირად გვაიძულებდა სწავლის პერიოდშივე გვეკეთებინა სახსრები არსებობისათვის. ზოგიერთი ჩემს თანატოლიან ერიად, ვინც მოსკოვში ვსწავლობდით, სწავლის პარალელურად მიხდებოდა მძიმეფიზიკური ბეგარობით. სხვადასხვა ერიდროული დაკვეთების შესრულებით აწარ სტიპენდიასთან ერთად მერჩინა თავი და შევშველებოდი ბორჯომში ჩემი აშობლების ოჯახს, რომელიც, როგორც მრავალი პატიოსანი ოჯახი, ხელმოკლედ ცხოვრობდა.

სამსახურებრივი კარიერა კი, თქვენ რომ ბრძანეთ, დავიწყე 1957 წლიდან, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, განაწილებით რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ეკონომისტის სპეციალობით.

რაც შეეხება ყველაზე დიდ პოსტს, მიმაჩნია, რომ შრომის წიგნაკში აღნიშნული ყველა ჩემი თანამდებობა და სამსახური იყო და არის ყველაზე დიდი პოსტი. სხვაგვარი დამოკიდებულება მინდობილი თანამდებობისადმი, ჩემის ღრმა რწმენით, ჭრნის ზერელობასა და გულგრილობას, რასაც, საქმისათვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია.

— ყოფილხართ თუ არა უმუშევარი? თუ ყოფილხართ, როდის და რა მიზეზით?

— იყო ერთხელ ჩემს ცხოვრებაში. ეს გრძელდებოდა 1991 წლის ოქტომბრიდან 1992 წლის ივნისამდე. მაშინ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ მოვლენებული ვიყავი მოსკოვში მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. თბილისში დაბრუნებისას აეროპორტში შევიტყე, რომ ჩემს ადგილზე სხვა პიროვნება დაუნიშნავთ ისე, რომ ჩემთვის არაფერი უცნობებიათ.

— ბატონო ვლადიმერ, სახელმწიფო ბანკები გადაკეთდა კომერციულ ბანკებად. მიზანშეწონილია თუ არა ეს, რა შეიცვლება ამით საზოგადოებისათვის?

— სააქციო-კომერციულ საზოგადოებებად ბანკების გარდაქმნა დროის მოთხოვნაა და განპირობებულია საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის აუცილებლობით, როდესაც ეკონომიკის სისტემა ემყარება საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებს. საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბება სახელმწიფო საკუთრების ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის გარეშე შეუძლებელია. თვით აქციონერება კი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მხოლოდ ერთ-ერთი სახეობაა და თავიდანვე მიჩნეულია სახელმწიფო ბანკების პრივატიზაციის ძირითად მიმართულებად.

როგორც თვით თქვენს შეკითხვაშია მინიშნებული, კომერციულ ბანკებს საშუალება ეძლევათ, იმოქმედონ არა მჭიდრო არტახებში მოქცეულებმა, არამედ მეტი თავისუფლებითა და ინიციატივით, მიმზიდველისა და ქვეყნის ინტერესების უკეთესად დაცვის მიზნით, მომსახურების ფორმებისა და სახეობათა გაფართოებისა და გამრავალფეროვნების, მოგების გაზრდისათვის, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ისევ სახელმწიფო ბიუჯეტის განტვირთვას. მაგალითად, ჩვენი ბანკის წესდებაში საქმიანობის მიაკარ მიზნად მიჩნეულია მოგების მიღება, თავისი საქმიანობით იგი ემსახურება მეწარმეობის განვითარებას, ფინანსების განტვირთვას, სასურსათო, სოციალური და სხვა პროგრამების რეალიზაციას, საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების სრულყოფას. ჩვენი ბანკი კი არ გახლავთ გამონაკლისი.

დღევანდელი კრიზისული ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკები რწმენიან საფინანსო სისტემის ცენტრებად, რომლებიც ერთად უყრიან თავს ხელისუფლების, საქმიანი წრეებისა და ასეულათასობითი კერძო პირის ფინანსებს. კომერციული ბანკები სესხავენ, ინვესტიციებს, სხვა ფართომასშტაბიანი საბანკო ოპერაციების მეშვეობით, მათ შორის უცხოეთის წამყვან ბანკებთან ურთიერთობებითა და საქმიანი თანამშრომლობით, გზას უხსნიან თავიანთი ფონდებისაკენ სხვადასხვაგვარი სესხის მიმღებებს — კერძო პირებს, ფირმებსა თუ კომპანიებს და ხელისუფლებას. საბანკო ოპერაციები კი იძლევიან იმის საშუალებას, რომ გავაიოლოთ როგორც საქონლისა და მომსახურების მიმოცვლა აწარმოებლიდან მომხმარებლამდე, ისე ხელი შეეწყოთ ხელისუფლების საქმიანობას.

და კიდევ ერთი. ბანკი გახდა სააქციო, ე.ი. სხვა აქციონერთა საკუთრებაა. მაშასადამე, დღეს აქციონერი — ბანკის მესაკუთრე — შეტადაა დაინტერესებული ბანკის მუშაობის გაუმჯობესებით, ვინაიდან მასზე დამოკიდებულია თვით მისი და მისი ოჯახის, საერთო მასშტაბით კი ქვეყნის ბიუჯეტიც.

— დღეს საუბრობენ „საქართველოს ბანკის“ წარმატებაზე. საყოველთაო გაკოტრების დღევანდელ ეპოქაში როგორ მოახერხეთ ბანკის ამუშავება ისე, რომ მოგებისთვისაც კი მიგელწიათ?

— ჩვენი ბანკის საქმიანობა და მისი საფინანსო-ეკონომიკური შედეგები ადექვატურად ასახავს ქვეყნის სასაქონლო ბაზარსა და ფულად-საკრედიტო სფეროში მიმდინარე პროცესებს და სასაათდება როგორც პოზიტიური ძვრებით, ისე სიძნელეებით, ხარვეზებითა და ნაკლოვანებებით.

ბანკის საქმიანობის შედეგებზე გავლენა იქონია აქტივების მართვის ხარისხის გაუმჯობესების, საკრედიტო-ეკონომიკური საქმიანობის სტილისა და შეთოდების დახვეწის, ბანკსა და განყოფილებებს შორის მართვის მეტ-ნაკლებად რაციონალური მექანიზმის ამოქმედების, საბანკო მომსახურების სექტორის გაფართოების, მომსახურების კულტურის დონის ამაღლების მომჭირნეობის რეჟიმის განტვირთვებისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა.

დღეისათვის ბანკის შევსებულმა საწესდებო კაპიტალმა 2 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც წინა წლის მაჩვენებელს რამდენჯერმე აღემატება. გაიზარდა ბანკის კლიენტურის რაოდენობა და მათ ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრების ნაშთები. მოქალაქეთა ანაბრები გაიზარდა 2,2-ჯერ. შეფასებით დაგვამახურებია მოქალაქეთა ნდობა, რაც წარმატებად უნდა ჩაითვალოს იმ ფონზე, რასაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში. მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რესურსები.

მილიარდად ნაშრომ მიღებული შემოსავლების ფაქტობრივმა მოცულობამ შეადგინა თითქმის შვიდი მილიონი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 67-ჯერ და მეტად აჭარბებს. მოკლედ თუ დავახასიათებთ ზემოაღნიშნულს, საწესდებო ფონდის ყოველ ლარზე მიღებულია 2,26 ლარის მოგება. სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა თითქმის 1260 ათასი ლარი.

შემოსავლებმა საშუალება მოგვცა შეგვეძინა საკმაოდ დიდი ოდენობის თანამედროვე საბანკო ტექნიკა და ტექნოლოგიები — ფულის სათვლელი და უცხოური ვალუტის სასინჯი აპარატურა, თითქმის 230 ათასი აშშ დოლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა, რამაც საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა ბანკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კლიენტურის მომსახურების დონე. სულ კი ბანკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განტვირთვების ღონისძიებებს ერთი წლის განმავლობაში მოხმარდა ერთ მილიონზე მეტი ლარი.

აქციონერულ ბანკს სერიოზული პრობლემები დარჩა გადასაწყვეტი გასული პერიოდიდან. იმ წლებში, როდესაც ქვეყანაში სუფევდა განუკითხაობა, არც ბანკები დარჩენილან კარგ მდგომარეობაში. განსაკუთრებით ბევრი საკითხია მოსაგვარებელი საკრედიტო პორტფელის მოწესრიგების თვალსაზრისით, დიდია ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა, სერიოზული პრობლემებია კადრების კვალიფიკაციის და პასუხისმგებლობის ამაღლების დარგში.

რასაკვირველია, გასაკეთებელი ბევრად უფრო მეტია, რათა ბანკმა გაუძლოს საფინანსო ბაზარზე სულ უფრო მზარდ კონკურენციას, შეინარჩუნოს და განამტკიცოს საკუთარი პოზიციები ქვეყნის საბანკო სისტემაში, გავიდეს და აქტიურად იღვაწოს საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე. ამ მიზნით დირექტორთა საბჭომ შეიმუშავა ბანკის განვითარების ძირითადი მიმართულებები 1996-2000 წლებისათვის, რაც ორიენტირებულია ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაზე. ვფიქრობ, უფრო დაწვრილებითი საუბარი შორს წაგვიყვანდა.

— ბატონო ვლადიმერ, როგორ ხდება ბანკების აქციონირება? ერთის მხრივ, ქონების დაბალი კვოტებით შეფასება ჩვენს მოქალაქეებს ხელ-ფეხს უხსნის, რათა გახდნენ მესაკუთრენი, რაც მისასალმებელია, ვინაიდან დიდი ფულის გადამხდელი ჩვენში იმ კატეგორიის ხალხია, რომელსაც ეს თანხა წესიერი გზით არ აქვს ნაშოვნი. წესიერი ბიზნესმენი კი ქონების შეფასების მაღალი ნიხრის არსებობის შემთხვევაში მესაკუთრე ვერასოდეს გახდება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. მეორეს მხრივ, დაბალი ნიხრი ხომ არ გაუხსნის ხელ-ფეხს უცხოელებს და ისინი მთლიანად ხომ არ დაეპატრონებიან ჩვენს ქონებას? თუ გაქვს რაიმე მექანიზმი ამ პროცესის თავიდან ასაცილებლად?

— მოგახსენებთ, რომ ბანკების აქციონირების წესი და საშუალებები განსაზღვრულია სახელმწიფო კანონმდებლობით, რომელშიც საკმაოდ მკაფიოდ გაითვალისწინებულია დამცავი მექანიზმებიც იმის საწინააღმდეგოდ, რაც თქვენ გაწუხებთ. თუ ჩვენი ბანკის მაგალითით ვიმსჯელებთ, შესაძლია გითხრათ, ჩვენი ბანკის აქციონერების რიცხვი 1200 კაცს აღემატება, რომელთა ძირითადი ნაწილი ისევ ჩვენი ბანკის თანამშრომლები არიან, გვყავს გარე ინვესტორებიც. მათ შორის საზღვარგარეთიდანაც, მაგრამ საკონტროლო პაკეტი მაინც ბანკის კოლექტივს ეკუთვნის. ჩვენი ბანკი არა მარტო სახელით უნდა იყოს საქართველოს ბანკი, არამედ შინაარსობრივადაც.

— იყო თუ არა მოსალოდნელი ის, რაც მოტყუებულ მეანაბრეებს დაატყდათ თავს, შეიძლებოდა თუ არა მომხდარის თავიდან აცილება?

— მიმაჩნია, რომ მეანაბრეებს თავსდატეხილი უბედურების პროგნოზირება შეუძლებელი იყო, ისევე როგორც იმდროინდელი საერთო პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოვლენებისა, ათასგვარ კატაკლიზმებად რომ გადაექცა ჩვენ ხალხს. ეს იყო გლობალური მოვლენა და რეგიონალურად თუ ლოკალურად მისი თავიდან აცილება, ჩემი აზრით, შეუძლებელი იყო.

— პოლიტიზირებულია თუ არა დღეს საბანკო სისტემა ანუ ბანკი თავისი განვითარების ბუნებრივი გზით მიდის თუ ჩინოვნიკური ინტერესები მართავს ამ სისტემას?

— საბანკო სისტემის პოლიტიზაციაზე საუბარი დღეს, ვფიქრობ, განვლილი ეტაპი და დაგვიანებული ამბავია. რაც შეეხება ჩინოვნიკურ ინტერესებს, ეს, რბილად რომ ვთქვათ, ცილისწამებაა. მე ვსჯი ჩვენი ბანკის მაგალითით. ამჟამად ჩვენი ბანკის საქმეებში, გარდა მისი აქციონერებისა, არავინ არ ერევა. კანონით კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, რომლის მიღებაც მეტად მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია, ასეთი ჩარევა გამორიცხულია, ოფიციალურადაც და პრაქტიკულადაც.

ჩვენი ბანკის აქციონერთა სულ ახლახან გამართულმა კრებამ დაადასტურა კიდეც ეს რეალურად, როცა გადაწყდა დივიდენდების განაწილების ოდენობა და მოწონებულ იქნა დირექტორთა საბჭოს მიერ შეთავაზებული განვითარების პერსპექტიული პროგრამა.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეროვნული ვალუტა მყარია, ხალხი მაინც ვერ გამოვიდა გაჭირვებიდან და ის დროც სანატრელი გახდა, როცა კუპონი ჰიპერინფლაციას განიცდიდა, ვინაიდან ხელფასები ფაქტობრივად იგივე დარჩა, რაც მაშინ იყო. უბრალოდ, ნულები ჩამოაკლდა, ფასები კი ერთი-ორად გაიზარდა. რას იტყვით ამის შესახებ?

— ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ პოზიტიური ცვლილებების დაუნახობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც ამ ბოლო დროს მოხდა, სწორი არ იქნებოდა. სხვა საქმეა, რომ ჩვენ გაცილებით მეტი გვესაჭიროება. ამას კი ბრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი განაპირობებს. საჭიროა ყველგან და ყველაფერში მეტი პასუხისმგებლობა და მუხლჩაუხრელი შრომა.

— თქვენი სამომავლო პრონოზი...

— მიუხედავად დღეს არსებული ძნელი ეკონომიკური მდგომარეობისა, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ეკონომიკური შესაძლებლობები და მოსახლეობის ინტელექტუალური პოტენციალი მაძლევს იმის საფუძველს, რომ საქართველოს ბედნიერი მომავლის იმედი მქონდეს.

ესაუბრა

ხათუნა აბაზაძე

ეფსაზეები ეროვნული ჭრისა ევროპელებთან გარიგებას ეცადნენ...

როგორც კოდორის ხეობის მცხოვრებთა ჯგუფი აცხადებს, თურმე ადგილი ჰქონდა მცდელობას აფხაზ სეპარატისტთა მიერ, ამ ხეობის მცხოვრებლებთან მოლაპარაკების გზით დაწესონ სრული კონტროლი ამ ხეობაზე. თითქოს აფხაზი სეპარატისტები საკენის, ქლუხორის, ნაპარის და სხვა უღელტეხილებზე აფხაზთა კონტროლის დაწესების სანაცვლოდ მოსახლეობას ჰპირდებოდნენ ტერიტორიას სოფ. მაჭარამდე და სრულ ხელშეუხებლობას. მათივე თქმით, დელეგაცია კატეგორიული უარით იქნა გასტუმრებული. ეს ინფორმაცია არ იქნებოდა ყურადღების ღირსი, რომ არა ის რთული სიტუაცია, რომელიც შექმნილია კოდორის ხეობაში. საუღელტეხილო გზა ჭუბერისაკენ ზავების გამო დღესაც არაა გახსნილი. მოსახლეობა ფაქტიურად იზოლირებულია სახელმწიფოსაგან. ვერტმფრენთა რეისები იმდენად იშვიათად ხორციელდება, რომ მინიმალურ მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებს. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ აცრები პოლიომელიტზე ჩატარებულ იქნა სოხუმის წითელი ჯვრის მიერ და არა ლეგიტიმური ხელისუფლების შესაბამისი სამსახურების მიერ. ამ აქციით სეპარატისტებმა, როგორც იტყვიან, ორი კურდღელი დაიჭირეს: ერთი, რომ მიიღეს სრული ინფორმაცია ხეობაში მდგომარეობისა და მცხოვრებთა შემადგენლობის შესახებ, მეორე, გარკვეული ნდობაც დაიმსახურეს. შეხედეთ, სოხუმი ზრუნავს თქვენზე და არა თბილისიო. ადგილობრივი მოსახლეობა და სახალხო ლაშქარი ამ ანკესზე, დარწმუნებული ვარ, არ წამოეგება, მაგრამ ხეობაში არიან სხვა ძალებიც, ესაა კრიმინალური სამყარო და არა მარტო ადგილობრივი. ამ ხეობას ბევრი დამნაშავე აფარებს თავს სხვა რეგიონებიდანაც, რადგან პოლიცია პრაქტიკულად ვერ აკონტროლებს სიტუაციას ამ რეგიონში. უბრალოდ იქ პოლიცია არც არის. ამ ძალებთან კი, რომელთაც აქეთ გზა დაკეტილი აქვთ, არაა გამორიცხული, რომ სეპარატისტებმა რაიმე გარიგებას მიაღწიოს. ეს კი იქ მცხოვრები 3000-ზე მეტი ადამიანისათვის და მთელი ქვეყნისათვის იქნება საშინელი ტრაგედია.

ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ ასრულებდნენ და ასრულებენ სეპარატისტები შეთანხმებებს, მიღწეულს თვით საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდითაც კი. მეორე მხრივ, კოდორის ხეობის სტრატეგიული მნიშვნელობაცაა გასათვალისწინებელი. ამ ხეობის დაკარგვა საქართველოსთვის იქნებოდა უდიდესი მარცხი სოხუმის დაცემის შემდეგ.

ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით, საჭიროა ყველა ღონისძიების მიღება, რათა არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული თუნდაც მცირე შესაძლებლობა საშინელი ტრაგედიისა. მისაღებია სასწრაფო ზომები ხეობაში კრიმინალური სიტუაციის კარდინალურად შესაცვლელად, მოსახლეობისადმი ყველა შესაძლო დახმარება, რაც კი სახელმწიფოს შეუძლია და ხეობის დაცვის გაძლიერება.

გ. კუხალაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

ფუთშესვენება - იუმორის გვერდი

ნიაზი

მოამზადა
ლელა კოდალაშვილმა

ერთხელ ნიაზ დიასამიძე ანჩისხატის ეკლესიის ეზოში შევიდა. ძალიან მოეწონა იქვე მდგომი მანდილოსანი დ გაცნობის ნებართვა სთხოვა.

— დიდი სიამოვნებით, ნელი ხატისკაცი. — უპასუხა ღიმილით ქალმა.

— ნიაზ პასკისჯვარი. — ხელი ჩამოართვა ნიაზმა.

* * *

გიგლა ფირცხალავამ ახალი საათი იყიდა.

— ვა, რამდენი ქვა აქვსო — ჰკითხა ნიაზმა.

— ორმოცი. — ამაყად განუცხადა გიგლამ.

— რა არის, საათია თუ ბათუმის პლიაჟიო. — გაიცინა დიასამიძემ.

* * *

ერთხელ ნიაზი სკოლაში რუსული ლიტერატურის პედაგოგმა გამოიძახა და მოსწავლის ნაკითხობაში დაეჭვებულმა უთხრა:

— ნიაზ, მომიყევი „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ მოკლე შინაარსიო.

— ტექნიკურ ლიტერატურას ცუდად ვიცნობ, მასწ... — უპასუხა ნიაზმა.

ამის გამო დიასამიძე სკოლის დი-

რექტორმა დაიბარა და უთხრა:

— ხვალიდან შენი ფეხი არ ვნახო აქო.

მეორე დილით ნიაზმა დაინახა გზად მიმავალი მეკურტნე ჟორა.

— ჟორა ძია, სკოლამდე ზურგით მიმიყვანეთ რა... — შეეხვეწა მუშას. ჟორას უარი არ უთქვამს. სკოლის დირექტორმა რომ დაინახა ზურგზე შემომჯდარი ნიაზი, იყვირა, შენ ხომ არ გაგიჟებულხარო. ნიაზმა უპასუხა:

— მასწ, თქვენ არ მითხარით, შენი ფეხი არ ვნახო აქო?..

* * *

ერთ ნახევრადფოთლებგაცვენილ ხესთან იდგა ნიაზი. ახედა კენწეროს და თქვა:

— ეჰ, რაც ამას ფოთლები ასხია, იმდენი თუმნიანი რომ მომცაო, — ინატრა.

— ნახევარს ხომ მომცემდიო. — ჰკითხა იქვე მდგარმა ქართლოსმა.

— მე რომ არ მომადგე, გაიხედე რა, გვერდით, შეხედე, რამდენი ხეებიაო. — გაბრაზდა ნიაზი.

* * *

ერთ ნაცნობ გოგონასთან შეიკრიბნენ ნიაზი და მისი მეგობრები. ერთმა დაიწყო:

— წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრობთ მე-5 სართულზე. გყავთ მამა, რომელიც 102 წლისაა. თქვენი აივნის წინ გადის ლიანდაგები. გაქვთ ინფორმაცია, რომ მატარებლებს გამოსვლის განრიგი აერიათ და თქვენი სახლის წინ შეჯახება გარდაუვალია. როგორ მოიქცეოდით? — მიმართა მასპინძელ გოგონას.

— მე გადავხტებოდი, მატარებლის მემანქანეები დაინახავდნენ ამას და დროზე აიცილებდნენ საშიშროებას. მგზავრებიც გადარჩებოდნენ. — პათეტიურად წარმოთქვა მან;

— შენ გოგი?

— მე მამაჩემს გადავადგებდი. ის ხომ 102 წლისაა.

— დათო, შენ?

— მამაჩემი ამის შემხედვარე თვითონ გადახტებოდა. — განმარტა დათომ.

— ვახო?

— მეც თვითონ გადავხტებოდი. — ივაჟკაცა ვახომაც.

— ნიაზ, შენ?

— მე მამაჩემს დავუძახებდი და ვეტყოდი, მამი, მამი, წამო ჩქარა, ეხლა აქ ისეთი ამბები დატრიალდება, უკეთესს სად ნახავ-მეთქი.

* * *

ქართლოს კასრაძე მოდიოდა თავის მეგობარ ქალთან ერთად. გზაში ნიაზი შემოხვდა.

— გაიცანი ნიაზ, ჩემი მეგობარია. — წარუდგინა ქართლოსმა ქალი. ქალმა ხელი გაუწოდა.

— ოლიმპიადა...

— სპარტაკიადა, ჩემო ბატონო. — უპასუხა ნიაზმა და ხელი ჩამოართვა.

* * *

ნიაზის ერთმა ნაცნობმა ახალი იაპონური საათი იყიდა. მაშინ იაპონური საათები ახალი ხილი იყო თბილისში.

— შეხედე, ნიაზ, დღეებსაც უჩვენებს, კვირის დღეებსაც, წლებსაც, საათს, წუთს, წამს... თუ შემთხვევით დაგივარდა ან ქვა მოხვდა, არ ტყდება. თუ ზღვაში ჩახვედი და მოხსნა დაგავიწყდა, არ ფუჭდება. საუკუნეებსაც უჩვენებს...

— ეგ, ჩემო ძმაო, დებილების საათი ყოფილაო — უპასუხა ნიაზმა.

* * *

ნიაზი საავადმყოფოში იწვა. ქარ-

თლოს კასრაძე სანახავად მივიდა. კარისკაცმა არ შეუშვა. ფანჯრიდან ნიაზმა გადმოხედა.

— რაშია ქართლოს, საქმე...

— კარისკაცი არ მიშვებს — ასძახა ქართლოსმა.

— მერე ჩაარტყი ღვინის ბოთლი თავში.

— სად ვიპოვნო ახლა ბოთლიო, — შეწუხდა ქართლოსი.

— აბა უბოთლოდ რა გინდოდა ჩემთან რომ მოდიოდიო — უსაყვედურა ნიაზმა.

* * *

ერთხელ ნიაზს ერთი ნაცნობი შეხვდა. ერთად გაუყვნენ ბელინსკის აღმართს.

—აუ, თევზის გიჟი ვარ რა... — დაილაპარაკა ნაცნობმა.

— ჰოო, კარგია თევზი... — უპასუხა ნიაზმა. ცოტაოდენი გაიარეს და...

— აუ, თევზის გიჟი ვარ რა... — ისევ აქაქანდა ნაცნობი.

— კარგი თევზი მართლა კარგია. — ზრდილობისთვის აყვა ნიაზიც.

— აი, გეუბნები რა, თევზის გიჟი ვარ... — აქოშინდა ნაცნობი.

— იცი რას გეტყვი? მე თევზითაც გიჟი ვარ, უთევზოდაც, ჰოდა თავი დამანებე რა... — გაბრაზდა ნიაზი.

* * *

ქართლოს კასრაძე გაიწვია კრივში ნიაზმა. ქართლოსმა დაარტყა მუშტი და ძირს დასცა ნიაზი. ნიაზმა იფიქრა, ეხლა რო ავდგე, კიდევ დამარტყამს და ველარც წამოვდგებიო, წაქცეულმა ქვემოდან ახედა და უთხრა:

— აუ, ქვემოდან რა ლამაზი ხარ შე ოხერო, შენაო.

* * *

უნივერსიტეტში ერთად სწავლობდნენ ქართლოსი და ნიაზი. ერთხელ კურსზე ვიღაცამ დააცემინა.

— ქართლოსის უნივერსიტეტის დამთავრებამდე არაფერი გეტკინოსო. — მხარზე ხელი დაჰკრა ნიაზმა.

* * *

ათიოდე წლის იქნებოდა ნიაზი, მელიქ კაზარიანცის შენობასთან დაშაგრებულ საფოსტო ყუთს შედგომოდა. გაიარა გამვლელმა, სოლიდური ასაკის კაცმა ვარლამ ჭელიძემ.

— ძია, ეს ყუთი ვარდება, ერთი წუთით დამიჭირეთ, რა... გავიქცევი, ვინმეს დავუძახებ...

ვარლამი მივიდა და მხრებით შეუდგა ყუთს. რის ვაივაგლახით გამოძვრა ქვემოდან ნიაზი და მოკურცხლა. გამოიარა ამ კაცის ნაცნობმა.

— რას აკეთებ, კაცო მანდ...

— ყუთი ვარდება და ქვეშიდან შევუდექიო.

მაჩვენე, ერთი, თუ კაცი ხარო და ვარლამიც ნელ-ნელა მოცილდა ყუთს. ყუთი არც გარყეულა, საიმედოდ იყო მიკრული კედელზე. გამაცურა იმ ლაწირაკმაო, ჩაილაპარაკა ვარლამმა და გზას გაუდგა.

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ასლან აბაშიძეს

ბატონო ასლან, ამას წინათ საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას თქვენ ახსენეთ ბროშურა, რომელიც თურქეთში გამოუცია და რომელშიაც აჭარის „პრობლემებზეა“ საუბარი. თქვენი ტელეგამოსვლის შემდეგ დავინტერესდი ამ ძნელად საშოვარი წიგნაკით, ძნელად საშოვარით იმდენად, რამდენადაც იგი თურქეთში გამოცემულია თურქულ ენაზე, მაგრამ მისი ქართული თარგმანის მიგნება, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, სულ რამდენიმე ეგზემპლარია, მაინც შევძელი.

ამ ბროშურის წამკითხავს ერთადერთი აზრი გაუჩნდება. თურქეთში ვითომ აჭარლების „მოჭირნახულეებმა“, სინამდვილეში კი აჭარისა და სრულიად საქართველოს მტრებმა, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იდეოლოგიური დივერსია დაგეგმეს.

ამ ბროშურის „ჯულმხურვალე“ ვითომ „აჭარელი“ ავტორებისათვის აჭარელი და ქართველი სხვადასხვა ცნებებია.

ისინი ღმერთს შესთხოვენ აჭარელი ხალხის თავისუფლებას, ანუ აჭარელი ხალხის ქართველი ხალხისაგან გათავისუფლება მოუნდომებიათ...

ამ აბსურდზე არც გაამხვილებდა კაცი ყურადღებას, ვინაიდან ერთი აჭარელიც არ მეგულება ამ დუნიაზე, ქართველი არ ხარო, რომ უთხრა და არ გადაირიოს, ყოფა არ უტიროს ამის მთქმელს. ამდენად, ამ თვალსაზრისით, ბროშურის ძალადაცხონე ავტორების ბუტუტურში შესაშფოთებელი არაფერია. თქვენდამი წერილის მოწერა სხვა გარემოებამ გვაფიქრებინა. საქართველოს ამ ნამდვილი მტრების მიერ თქვენ მოხსენებული ხართ ერთობ დიდი სიყვარულით, რასაც ბუნებრივია, თქვენი აღშფოთება უნდა მოჰყვეს.

თქვენ, როგორც აჭარის ხელმძღვანელი, ვფიქრობთ, ვალდებული ხართ პასუხი გასცეთ ამ თქვენს „ძალადმაცხონე“ მოკეთეებს, რისთვისაც სიამოვნებით დგითმობთ სწორედ ჩვენს საგაზეთო ფართს...

პატივისცემით გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

P.S. მკითხველს მეტი თვალსაჩინოებისათვის აქვე ვთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს აღნიშნული ბროშურიდან. დე, თავად განსაჯეთ, სამართლიანია თუ არა ჩვენი თხოვნა აჭარის ხელმძღვანელებისადმი.

ნაწყვეტები თურქეთში გამოსული ანტიქართული ბროშურიდან

აჭარის დემოგრაფიული სტრუქტურა

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში არ ჩატარებულა აღწერა, 1995 წლისათვის აჭარის მოსახლეობა მოითვლიდა 400 000 კაცს. აქედან 87,5 %-ს აჭარლები შეადგენდნენ, ხოლო 12,5 %-ს — სხვა ეთნიკური ჯგუფები. მუსულმანები მოსახლეობის 70%-ს შეადგენენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები კი — 30%-ს.

აჭარის მოსახლეობის ეთნიკური ჯგუფები შემდეგნაირად ნაწილდება:

აჭარლები 350000, რუსები 20000, სომხები 15000, ბერძნები 5000, უკრაინელები 4000, აფხაზები 1500, აზერბაიჯანლები 1000, ქურთები 400, ებრაელები 500, სხვა 2600.

მოსახლეობის ბოლო ოფიციალური აღწერა ჩატარდა 1926 წელს, რადგანაც 1929 წელს საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების გამო აჭარელთა უმრავლესობა გადაასახლეს თავისი მშობლიური მიწიდან — აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან. ამის შემდეგ საბჭოთა მთავრობას აღარ ჩაუტარებია აჭარაში მოსახლეობის აღწერა. 1926 წლის მონაცემებით საბჭოთა კავშირის მასშტაბით აჭარლები შეადგენდნენ 71746 კაცს, აქედან 70828 ცხოვრობდა თვით აჭარაში — 2904 (=4,1%) ქალაქად, ხოლო 68522 (=95,5 %) სოფლად.

მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინის ბრძანებით მუსულმანი აჭარლები გადასახლეს ყაზახეთში, მათ ბრალი დასდეს მტერთან თანამშრომლობაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ იმ აჭარლებს, რომლებიც იწერებოდნენ ქართველებად. დღეისათვის გადასახლებულ აჭარელთა რეპატრიაცია და გაქართველება ხდება, თუკი ისინი დაამტკიცებენ თავიანთ ქართულ წარმოშობას, ლაპარაკობენ ქართულად ან მათი წინაპრები ცხოვრობდნენ საქართველოში 1801 წლამდე.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლის ომმა საბედისწერო როლი ითამაშა აჭარის ისტორიაში. ოტომანთა არმია იძულებული გახდა დაეტოვებინა კავკასია. აფხაზეთისა და აჭარის მუსულმანი მოსახლეობა, რუსეთის დარბევით შეშინებული, დიდი რაოდენობით გაიხიზნა ანატოლიაში. მიგრაციის პროცესი, რომელიც დაიწყო 1879 წელს, გრძელდებოდა ათწლეულების განმავლობაში.

და მაინც არასოდეს განელებულა თურქეთში დარჩენილ აჭარელთა ლტოლვა საკუთარი სამშობლოსადმი.

1965 წლის თურქეთის მოსახლეობის აღწერის თანახმად გადმოსახლებული აჭარლები უმეტესად ცხოვრობენ შემდეგ პროვინციებში: ართვინი, ორდუ, ბაზია, ბაღქეშირი, სინოპი, სტამბოლი და თოკატი. ცალკეული ოჯახები გაფანტულია ქვეყნის სხვა კუთხეებშიც.

აჭარაში მცხოვრები ეთნიკური თურქები

მუსულმანები აჭარის მთელი მოსახლეობის 70%-ს შეადგენენ. თუმცა ბათუმში, ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ცენტრში, მათი რაოდენობა ნაკლებია. მუსულმანი მოსახლეობა უმეტესად ცხოვრობს პატარა დაბებში და სოფლად. ისინი თავიანთ თავს უწოდებენ „აჭარელ მუსულმანებს“. 45 წელზე უფროსი ასაკის თაობა ლაპარაკობს თურქულად. მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს ჰყავს ნათესავები თურქეთში. აჭარის მუსულმანთა რელიგიური წინამძღოლია ბათუმის მეჩეთში შექმნილი კომიტეტი, რომელიც შედგება შედარებით ზომიერი შეხედულების მქონე წევრებისაგან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქული გვარები და გეოგრაფიული დასახელებები ძალით გადაკეთდა რუსულად და ქართულად. ამან სრულიად წაშალა ახლო წარსულის კვალი ახალგაზრდობაში.

თუმცა ოფიციალურ სახელმწიფო ენად ითვლება ქართული, ბათუმის მუსულმანი აჭარელი მოსახლეობა მაინც ლაპარაკობს გურულ დიალექტზე.

სოფლებში — თხილვანა, ხიხაძირი, ბაქო და მუმსეთუ, რომლებიც ესაზღვრებიან ართვინის პროვინციის მეორე დისტრიქტს (რაიონს) ჩრდილოეთით, მოსახლეობა ლაპარაკობს თურქული ენის შავი ზღვის რეგიონალურ დიალექტზე.

რუსეთის ურთიერთობა თურქეთთან

ურთიერთობა თურქეთსა და აჭარას შორის არსებობდა ჯერ კიდევ აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებამდე (1921 წლის 16 ივლისს).

ოტომანთა იმპერიამ, ცნო რა თავი დამარცხებულად რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომებში, 1878 წელს ხელი მოაწერა სან-სტეფანოს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ქალაქები — ბათუმი, ყარსი და არდაგანი გადაეცა რუსეთს. ამის გამო ათასობით აჭარელმა, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებოდნენ თავიანთი კულტურით, რელიგიით, ისტორიით და ეთნიკური თვითმყოფადობით ქართველებისაგან და ამასთან ეშინოდათ დარბევისა ქართველებისა და რუსების მხრიდან, დატოვა სამშობლო და ბათუმიდან ზღვით მიაშურა თურქეთის პორტებს — გიურესუნს, ორდუს, სამსუნს, სინოპს, სტამბოლსა და სხვა შავიზღვისპირა ქალაქებს. ნაწილი ლტოლვილებისა დასახლდა ამ ქალაქებში, ნაწილი კი გადავიდა მთიან რაიონებში — ამაზიაში, ადაფაზარში, ბურსასა და ბაღქეშირში.

აჭარა პრაქტიკულად უფრო სტაბილურია, ვიდრე საქართველოს რესპუბლიკის სხვა რეგიონები. მოსახლეობა თურქეთს მეგობარ სახელმწიფოდ მიიჩნევს.

ფოთი-ბათუმი-ზოფა-რიზეს ერთობლივი თავისუფალი სავაჭრო ზონა ერთი ღირსშესანიშნავი პროექტია, რომელიც კიდევ უფრო განავითარებს ურთიერთობებს თურქეთსა და საქართველოს და თურქეთსა და აჭარას შორის. პროექტის მოკლე ვადებში განსახორციელებლად ჩაბმულია თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო (TIKA). ბათუმისა და ფოთის თავისუფალი სავაჭრო ზონის პროექტები განხილვის სტადიაშია.

თავისუფალი სავაჭრო ზონა ბათუმში მოსახერხებელი იქნებოდა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დასამყარებლად. თურქეთი აჭარას ამარაგებს ელექტროენერგიით. აჭარის პრეზიდენტი ასლან აბაშიძე ყოველ ღონეს ხმარობს, რათა თავის ხალხს მოუტანოს კეთილდღეობა. ის ცდილობს, ბათუმი გახადოს საერთაშორისო საზღვაო პორტად და თავისუფალ სავაჭრო ზონად. მაშინ, როცა აბაშიძე ცდილობს, წრფელი ურთიერთობები დამყაროს საქართველოს ცენტრალურ მთავრობასთან, აჭარის მოსახლეობა შეშფოთებულია ზოგიერთ ქართულ შოვინისტურ პრესაში დაბეჭდილი აბაშიძის საწინააღმდეგო სტატიებით.

არც პრეზიდენტი აბაშიძე და არც აჭარლები არ იმსახურებენ ასეთ კრიტიკას. აფხაზეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს აჭარამ გულთბილად მიიღო ორთავე მხრიდან ლტოლვილები. ამით მან გამოამჟღავნა თავისი დიდსულოვნება — გაუწილოს სიმწრით ნაშოვნი პური ლტოლვილებს.

აჭარამ ბათუმის პორტით ფართოდ გაუღო კარი მსოფლიოს. მართალია, ის ფიზიკურად პატარა სახელმწიფოა, მაგრამ მნიშვნელოვანია თავისი შრომისმოყვარე მოსახლეობით. ჩვენ, ეროვნებით თურქეთის რესპუბლიკის აჭარლები, თავს ვალდებულად ვთვლით, გავითავისოთ აჭარის ყველა პრობლემა.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კეთილი ურთიერთობა აჭარასა და საქართველოს შორის, აჭარასა და თურქეთს შორის, ჩვენთვის ერთნაირი მნიშვნელობის არის.

ჩვენც, როგორც აჭარლები, შევსთხოვთ ღმერთს:

ო, ყოვლისშემძლე ღმერთო! შენ მოანიჭე თავისუფლება და ბედნიერება ყველა ხალხს დედამიწაზე და გთხოვთ, ნუ დაივიწყებ აჭარლებსაც!

კალეიდოსკოპი

სიკვდილამდე 200 დღე დარჩა...

მილიარდერ ჯაკლ რეიმერს ღვიძლის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს და იცოცხლებს მხოლოდ შვიდი თვე, მაგრამ თავის შეცოდების დაწუწუნის მაგიერ იგი ამ შვიდი თვის განმავლობაში მსოფლიოში იმოგზაურებს და დაარიგებს მთელს თავის ქონებას (იგი შეადგენს 1,2 მილიარდ დოლარს).

— ჩემი დღეები დათვლილია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლოგინში დავწვე და მოვკვდე. მე მიმაჩნია, რომ ღმერთის მისიის შემსრულებელი ვარ და რაღაც მიზანს ვემსახურები, კონკრეტულად რას — არ ვიცი“.

თუ რეიმერისათვის უცნობია მიზანი, რომელსაც იგი ემსახურება, იმ ხალხისათვის, ვისაც ის დაეხმარა, იგი ნათელია.

— „მე მან მომცა იმედი“ — ასე ამბობს ქ-ნი იდა გეი, რომელმაც მილიარდელისაგან 137260 დოლარი მიიღო. რეიმერს სიცოცხლე 200 დღეღამე დარჩა და გადწყვეტილი აქვს ყოველდღე მილიონი დაარიგოს. აგვისტოს თვეში იგი თბილისს, ბათუმს, სოხუმს, ფოთს ეწვევა.

ბომბი — მოჩვენება 53 წლის შემდეგ დაეცა ქალაქს

1996 წლის 14 თებერვალს საფრანგეთის სამხრეთში პატარა ქალაქ სენ-დუსტინში აფეთქების ხმა გაისმა. პირველი გაოგნების შემდეგ გაირკვა, რომ ეს აფეთქება გამოწვეული იყო ბომბის დაცემით და იგი ჩამოგდებული იყო არა იმ დღეს, არამედ 53 წლის წინ 1943 წელს გერმანული გამანადგურებლის „მესერშმიდტის“ მიერ.

ქალაქის ყოფილ მერს ორივე ინციდენტი ძალიან კარგად ახსოვს. 1943 წელს, როცა იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ახსოვს, როგორ იბომბებოდა ქალაქი, როგორ ესმოდა ბომბის ჩამოგდების ხმა და როგორ მიწყდა იგი მოულოდნელად. და 53 წლის შემდეგ მან მოისმინა ზუსტად იგივე სტვენის ხმა, რომელიც 53 წლის წინ შეწყდა, გაიგონა აფეთქება. ეს ორი ფაქტი მან ერთმანეთს მოგვიანებით დაუკავშირა.

ასეთი შემთხვევები პირველი არ არის. ვინ იცის ბუნება კიდევ რამდენ სიურპრიზს გვიმზადებს.

სენსაციური სტატისტიკა მწეველებს

სიგარეტის კვამლის 27 ძირითადი კომპონენტიდან 9 ძლიერმომწავლელი ნივთიერებაა, 16 კი უდავოდ კანცეროგენებია.

ერთი ღერის მოწევის შემდეგ 36 კგმ. ფართობის განიავებულ ოთახში ჰაერის პირველნდელი მდგომარეობა აღდგება ერთი საათის შემდეგ.

მწეველი მამისაგან ბავშვი წელიწადში იღებს ნიკოტინის ისეთ დოზას, რაც უტოლდება 30 ღერის მოწევას, დედისაგან — 50 ღერის, ორივე მწეველი მშობლისაგან — 80-ს.

ერთი ღერის მოწევის შემდეგ სრული ერექცია ჯანმრთელი 12 მამაკაციდან აღენიშნება 4-ს. მწეველ ქალებში უშვილობა 1,5-ჯერ მეტია, ვიდრე არამწეველებში.

არ ეწევა მოსახლეობის 20—40 %-ი.

ექიმის ჩარევის გარეშე წევას თავს ვერ ანებებს ათიდან ცხრა.

ნიკოტინისადმი მიდრეკილებაში ადამიანი მარტო არ არის: თხებს ჭაუა ეკეტებათ თამბაქოსათვის — გაუნაწილეთ წვრილანცარას სიგარეტი და ვეღარ მოიშორებთ. ეწევიან ვირთხები, გეშრიელად აბოლებენ მაიმუნები, სპილოებისთვისაც უცხო არ არის წვრილმანი ვნებანი, მიუხედავად იმისა, რომ ნიკოტინი ღღეს ჯანმრთელობისათვის ერთ-ერთი ყველაზე საშიშ ნივთიერებად ითვლება.



თარაზულად: 5. მიმდინარეობა ხელოვნებაში; 8. მე-19—20 ს-ის გამოჩენილი რუსი ფერმწერი; 9. მუსიკალური საკრავი; 11. ორნახშირმჟავა ნატრიუმი; 13. თამაში — გამოცანა; 14. დაცინვა; 17. წერილი; 19. რაიმე საქმეში უაღრესად დაოსტატებული ადამიანი; 21. სიტყვის საწინააღმდეგო მნიშვნელობა; 22. სახელის ან გვარის პირველი ასო; 23. როლები, რომლებიც შეეფერება ამა თუ იმ მსახიობის შესაძლებლობას; 26. მე-19 ს-ის გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი; 29. აღმ. საქართველოს ძვ. სახელწოდება; 31. ქალაქი რუსეთში; 32. გამოწეული ნაწილი შენობაში; 33. რისამე სრულყოფის განსახიერება; 34. ბეჭდვა ბრტყელი ქვის ზედაპირიდან, რომლებზეც გაკეთებულია ნახატი.

შვეულად: 1. სინამდვილის ამსახველი შემომქმედი; 2. მხატვრული ნაწარმოების წინ წამძღვარებული ციტატა; 3. მიმდინარეობა ძირითადად არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. კლასიციზმის მომდევნო სტილი დეკორატიულ ხელოვნებასა და არქიტექტურაში ევროპაში; 6. მუსლიმანთა წმინდა ადგილი; 7. გარემოს ვითარებაში გარკვევის უნარი; 10. ნახატი, რაზეც ვინმე დამახინჯებულადაა გამოსახული; 12. სტამბა; 15. განყოფილება; 16. ვინმესადმი ან რაიმესადმი დიდი აღტაცების გამოხატვა; 18. მტაცებელი ფრინველი; 20. ევროპის ქვეყნის დედაქალაქი; 24. მხატვრული შედარება; 25. ქედი ჩინეთში; 27. სახელმწიფოს გამგებელი; 28. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება; 29. დაავადება, არტერიის შევიწროვება; 30. სატრანსპორტო საშუალება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 2. გრეივზი; 5. მისტიკა; 7. „დერეხი“; 9. რურუს; 10. ოტია; 11. კურსანტი; 12. ნინოობა; 13. ჰინდი; 14. ფირმა; 16. ბუვიე; 19. ვალენსა; 22. ერისთავი; 23. „ლაქა“; 23. შოშია; 25. რაბატი; 26. ნარინჯი; 27. ინსულტი.

შვეულად: 1. ჰეირდალი; 2. გვარდია; 3. იორდანე; 4. არიოზო; 5. მოსულიშვილი; 6. „ტაძარი“; 7. დალი; 8. სარაჯიშვილი; 15. მაუაშვილი; 16. ბესიკი; 17. მასკანი; 18. დესანტი; 20. ელარჯი; 21. „ვიში“.

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5
'გაზეთის ინდექსი 66447
ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41